

იგორ კეკელია

აფხაზეთის ეთნიკური
ისტორიის პრობლემები
პაატა ცხადიას შრომებში

თბილისი
2019

ნაშრომში გაანალიზებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – პაატა ცხადაიას შეხედულებანი აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის საკითხებზე და ამით განსაზღვრულია მისი თვალსაჩინო წვლილი ონომასტიკური მეცნიერების განვითარებაში. წიგნი გარკვეულ სამსახურს გაუწევს აფხაზეთის ისტორიული წარსულისა და ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს და მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორი: **ბეჟან ხორავა**, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **ნელი მახარაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი

მანანა ბუკია, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ქეთევან მარგიანი, ფილოლოგიის აკადემიური
დოქტორი

შესავალი

ონომატოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, აღმავლობა-განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თსუ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ პაატა ცხადაიას წვლილი. ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს 26 წიგნი, 170-მდე საჭურნალო და საგაზეთო სტატია, სალექსიკონო და საკონფერენციო მასალები.

გეოგრაფიული სახელწოდებების, ანთროპონიმებისა და ზოონიმების ზოგადი, საინფორმაციო ხასიათის ანალიზიც ცხადყოფს, თუ რამდენად ფასეულია ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის პაატა ცხადაია მიერ სავსე ექსპედიციების გზით, თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე მოპოვებული და ცალკე წიგნებად გამოცემული ონომასტიკური მასალები. ერის ისტორიის ამ უტყვემა ძეგლებმა შემოგვინახა შორეული წარსულის ამსახველი უამრავი უნიკალური ინფორმაცია, ხოლო პაატა ცხადაიას უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ ათწლეულების მანძილზე დაულალავი და მძიმე შრომით მოძიებულ-მოქუჩებული მარგალიტები დროის ქარაშოტს გამოარ-იდა და შთამომავლობას მოსავლელად და საპატრონოდ შემოუნახა.

ონომასტიკის დარგში პ. ცხადაიას ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის შეფასებას მიეძღვნა რამდენიმე გამოკვლევა; კერძოდ, რ. შამელაშვილის „მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუში“ (ყურნალი „საქართველოს ბუნება“, მარტი, 1990); ალ. ლლონტის „ნაშრომი კოლხეთის მიკროტოპონიმიაზე“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 96, 1999), იგორ კეკელიას მონოგრაფია „პაატა ცხადაია – ქართველური ონომასტიკის მოჭირნახული“ (ქუთ., 2017, 436 გვ.), მისივე საჭურნალოგაზეთო სტატიები და სხვ.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად ვისახავთ პ. ცხადაიას ონომასტიკური მემკვიდრეობიდან შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარმოვანინოთ მკვლევრის შეხედულებანი აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის საკითხებზე და ამით განვსაზღვროთ მისი თვალსაჩინო წვლილი ონომასტიკური მეცნიერების განვითარებაში.

აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები ტოპონიმიკური მასალების შუქზე

აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემური საკითხების, კერძოდ, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმიის ანალიზი პ. ცხადაიას რამდენიმე ნაშრომშია მოცემული. 1998 წელს დაიბეჭდა მისი ნაშრომი – „აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) თანამედროვე ეთნიკური საზღვარი და სამურზაყანოს ტოპონიმიის ზოგი საკითხი“ („ქართველური მემკვიდრეობა“, II, ქუთ., 1998, 300-307; აღნიშნული ნაშრომის თეზისები იხ. კრებული – „ქუთაისური საუბრები“, IV, ქუთ., 1997).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ XIV-XVI საუკუნეებში აფხაზთა (აფსუათა) და ქართველთა (ეთნოგრაფიულ-ენობრივი თვალსაზრისით – მეგრელთა) ეთნიკურ-პოლიტიკური საზღვარი კელასურ-კოდორის აუზს ემთხვეოდა, რაც დასტურდება მრავალი ქართველი თუ უცხოელი ავტორის ცნობით და კარტოგრაფიული მონაცემებით. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა და მათ მონათესავე ტომთა მიერ დაწყებულ, კოდორ-ენგურის შუამდინარეთის ინტენსიურ ეთნიკურ ათვისებას მძლავრი ბიძგი მისცა აფხაზ ფეოდალთა მიერ ჩრდილოკავკასიელთა დახმარებით წარმოებულმა სასტიკმა დაპყრობითმა ომებმა. დახოცილ, ტყვედ გაყიდულ თუ განდევნილ მეგრელთა დაცარიელებულ სამოსახლოებზე ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩამოსული „მეზობლების“ დასახლებამ მკვეთრად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაცია. თქმულის საილუსტრაციოდ პ. ცხადაია იმონებს რუსი ავტორის – ა. დიაჩკოვ-ტარასოვის შემდეგ ცნობას: „აფხაზები ყოველთვის როდი ბინადრობდნენ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და შეავიწროვეს ქართველები“. აფსუაში დარჩენილი მეგრელები სრულად გააფხაზდნენ, ხოლო სამურზაყანოს გააფხაზება, რამდენადაც აქ ძირძველი მოსახლეობა უფრო მდგრადი აღმოჩნდა, ძალიან

ნელა მიმდინარეობდა, ხოლო XIX საუკუნისთვის სრულებით შეწყდა (პ. ცხადაია, აფხაზეთა და ქართველთა (მეგრელთა) თანამედროვე ეთნიკური საზღვარი..., 300-301, და იქვე მითითებული ლიტერატურა: ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995, 31; З. Анчабадзе, Из Истории средневековой Абхазии Тб., 1960, 26). ინტერესს იწვევს აფსუათა შორის გავრცელებული გადმოცემა, მოსახლეობისაგან აფხაზეთის დაცარიელების შემდეგ **ყარაჩიდან აგრბათა, ადღეიბათა, ინაპშბათა წინაპრების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით** (Н. Ломоури, Некоторые вопросы ранней истории Абхазии. Журн. „Мацне“, серия из истории..., №3, 1990, 170).

პ. ცხადაიას ნაშრომში დამონმებული აქვს სამურზაყანოს ტოპონიმიაზე მუშაობისას ჩანერილი გადმოცემები ამა თუ იმ გვარის წარმომავლობის შესახებ. ზემო ლუმურიშელი ხანდაზმულის – იასონ ნოჩოს ძე ზუხბაიას გადმოცემით, მისი გვარისკაცნი **ჩერქეზები არიან და არა აფხაზები**. მათი ჯინჯიხატი (ფუძის სალოცავი, მთავარი ხატი, ფუძის ხატი) **შავნოხა ყარაჩშია**. მათი წინაპრების აქ გადმოსვლის ისტორია ასეთია: ლალიძგასა და ენგურს შუა უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანა ნარ-ეკალს და ბალახს დაუფარავს. ხალხი აქა-იქ თუ ესახლა. მურზაყან შარაშია და დადიანი ამ ადგილებს ერთმანეთს ეცილებოდნენ. შეთანხმებულან – ფალავნები უნდა ვაჭიდაოთო. ჭიდაობა გამართულა გუმარაპიტაში, კოხორის ქვემოთ. შარაშიას ფალავანს, დიდი ძალ-ღონის მქონე ემხვარს, დადიანის ფალავანი დაუმარცხებია და მისთვის მენჯის ძვალ-იც ამოუგდია თურმე. მთელი ეს ტერიტორია მურზაყან შარაშიას დარჩენია, მას კი ემხვარისათვის რეჩხი, ლუმურიში და ჩხორთოლი უბოძებია. ამ ემხვარს დედა ჩერქეზი ჰყოლია, წასულა და ჩამოუყვანია დედის ძმისშვილები – ქვთეზი და ლანგსი. ლუმურიშელი ზუხბაიები მათი შთამომავლები ყოფილან. მათზე უწინ ახლომახლო მხოლოდ ქვაჩახია და მელიავა სახლებულან (პ. ცხადაია, 1998, 301; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბ., 2003, 246).

სოფ. ხიტუს მუხურში (ქვემო ბარლების თემი) ჩანერილი გადმოცემის მიხედვით, ძმებს – გიორგობეს, თანაფიასა და ცუტუს ყარაჩში (?) მოუკლავთ თავადი ანჩიბაია და გამოქცეულან: გიორგობე

მდ. ქირის მარცხენა მხარეს დამკვიდრებულია. მისი შთამომავლები ქართველები, გვარად კიკალები არიან. კვიტოულში დარჩენილი თანაფიას შთამომავლები აფხაზები არიან და კაკალებად იწერებიან. უფრო შორს – გურიაში წასულ-დამკვიდრებული ცუტუს შთამომავალნი გვარად კიკალები იწოდებიან (იქვე, 301)¹; „საერთოდ, ყველა სამურზაყანოელმა იცის, – წერს პ. ცხადაია, – სადაა მათი წინაპრების „სამშობლო“, სად დადიოდნენ მათი ბაბუები და ჩამადები (ბაბუის ბაბუები) ჯინჯიხატის მოსალოცავად, მერამდენე თაობას წარმოადგენენ თვითონ ისინი მათი გვარის აქ დამკვიდრების შემდეგ“ (იქვე, 301). ეზუგბაიას, ნაყოფიას, ქვაცბაიას, ყოლბაიას, გვაგვალისას, აკიშბაიას, ხუტკუბიას, დოჩიას, ბუთბაიას, აბუხბაიას, გერზმავას, კონჯარისას, ზვამბაიას, ცობეხიას (წინაპარი – ცვეიბა)... გვარისკაცნი აღნიშნავენ, რომ ისინი ჩამოსულან მდინარე ბზიფსა და გუმისთას შორის მდებარე ისტორიული მხარიდან – ზეფუდან//ბზიფიდან. ისინი არა მარტო ისტორიულ მხარეს, არამედ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტსაც ასახელებენ. ასე, მაგალითად, ფსხუდან (ფსხოუ, სხუ) გადმოხვენილან: თარბაია, გვარამია, არშბა, ქიშმარია, თანია, ფაჩულია, ხაშბა, ჯინჯოლია, ხოლო ლიხნიდან – მიქელბაია, ქირთბაია, შარია, ეშბა... (იქვე).

მკვლევარი იმონმებს ალ. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის ცნობებს და ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: როგორც ჩანს, სამურზაყანოში, კერძოდ, ოხურეის სამხრეთით, აფხაზური ენის გავრცელებას ხელს უწყობდა აფხაზთა კუნძულებრივი დასახლებების არსებობა, აფხაზეთიდან გამოთხოვილი ქალები და მწყემსები. ფაქტია, რომ ენგურსა და ოხურეის შუა, სადაც ამჟამად აფხაზთა კომპაქტური დასახლებანი არ არის, მოიპოვება აფხაზური ტოპონიმები, რომელთაც, პ. ცხადაიას თქმით, აფხაზი მკვლევრები ამაოდ თვლიან აფხაზთა უძველესი განსახლების საბუთად.

¹ 2003 წელს გამოცემულ წიგნში ავტორები – პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა გიორგობეს საცხოვრებელ ადგილად მაბრის მიუთითებენ (ასე ეწოდება ტყეს ქირის მარცხ. ნაპირას), ხოლო მესამე მძის – ცუტუს სამკვიდროდ – ჭუბურხინჯს. სხვა გადმოცემით, ყარაჩიდან კიკალების წინაპარი ხუთი ძმა გადმოსულა. ერთ-ერთი მათგანი კოჩარაში დამკვიდრებულია. იხ. პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 286-287).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ყველა მდინარე, რომელიც ერთვის შავ ზღვას სამურზაყანოს ტერიტორიაზე, მეგრული სახელწოდებების მატარებელია. მაგალითად, ლალიძგა, ოქუმი//ოქუმწყარი, ანარია, გაგვიანყარი... ამ მდინარეთა მთავარი შენაკადების მცირე შენაკადები და მდგენლები აფხაზურ სახელებს ატარებენ, რასაც ზოგი მკვლევარი ამ რეგიონში აფხაზთა აბორიგენობის უტყუარ საბუთად მიიჩნევს. არის კი პირიქით: დიდ მდინარეთა სახელები ათასწლეულებს უძლებს, უძლებს მოსახლეობის ცვლასაც კი, ხოლო მცირე ობიექტები ხშირად იცვლიან სახელებს. პ. ცხადაია ამ დებულებას იოკონიმების (დასახლებული პუნქტის სახელების) მიმართაც განავრცობს. გალის რაიონის 91 სოფლიდან აფხაზურ სახელს ერთი დიდი და ხუთი მცირე სოფელი (უბანი) ატარებს. ეს დიდი სოფელია **აჩიგვარა** „ცხენის საგომი“, ხოლო პატარა სოფლებია: **აგვავერა//აგუა ვარა** „ჩაგარდნილი ადგილი“ (ოქუმის თემში), **ლეკუმხარა//ა-ლაკუმჰა** „ხეჭრელი, ლუკუმხა“ (პირველი გალის თემი; სიტყვა მეგრულიდანაა შესული, მაგრამ ტოპონიმის წარმოება აფხაზურია), **პატრახუნა** (სახელი XIX საუკუნის შუა წლებში გადმოუტანიათ ოჩამჩირის რაიონის სოფელ პატრახუნადან გადმოსახლებულებს), აკვარიქვა „შავი წყალი“, **შაშიკვარა** „შაშის ღელე“ და შესაძლოა, **აკვალა** (პირველი აკვალა და მეორე აკვალა შედის ჭუბურხინჯის თემში). პატრახუნა, აკვარიქვა და შაშიკვარა მდებარეობს ქ. გალის მეზობლად, მისგან დასავლეთით. როგორც ჩანს, ისინი წარმოიქმნენ XIX საუკუნეში, აფხაზთა ე. წ. კუნძულებრივი დასახლების ადგილას. მეგრულ გარემოცვაში ახალმოსახლენი ალბათ, გამეგრელდნენ. ასეა თუ ისე, ოცი წლის წინათ ჩვენ მიერ ამ სამ სოფელში ჩანერილი ასზე მეტი მიკროტოპონიმიდან მხოლოდ ორის წარმომავლობაა დასადგენი: **აბათყუჯრა, ყოჯელი**. ყველა დანარჩენი მეგრულია“ (იქვე, 304).

ყოჯელი, ჩვენი აზრით, იგივეა, რაც **ხოჯალი**. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია შემდეგი განმარტება: „ხოჯალი მალალი, მძღავრი; ხარელა; ქვადოჯი“ (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, 731).

ოდისისათვის წართმეული ტერიტორიების აფხაზთაგან ინტენსიური ეთნიკური ათვისება XVIII საუკუნის დამდეგიდან იწყება.

აბჟუაში მეგრელების უმცირესობაში აღმოჩენას მათი სრულად გააფხაზება მოჰყვა. სამურზაყანოს ძირითად ტერიტორიაზე კი (გალის რაიონი), სადაც აფხაზებს კუნძულებრივი დასახლებანი ჰქონდათ, მეგრელებმა შეძლეს ენისა და ადათ-წესების შენარჩუნება. მხოლოდ ლალიძგა-ოხურეის შუამდინარეთსა და მდ. ოხოჯის ზემოთში, ლალიძგის მარცხენა მხარეს, ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიის ნაწილზე გადის ორი ეთნიკური ერთეულის (აფხაზთა და მეგრელთა) საზღვარი, სადაც შეიქმნა საინტერესო ენობრივ-ტოპონიმიკური სიტუაცია: ზღვისპირა ილორის თემისა და ოხურეის მარჯვენა მხარეს მდებარე ოხურეის თემის, აგრეთვე აგუბედის თემის რამდენიმე სოფელი და რეკის თემის სოფ. ჯგერიანის მიკროტოპონიმია მთლიანად მეგრულია. ტყვარჩელის სასოფლო თემის (სოფლები: ფოქვეში, აყვარაში, კაციჰაბლა, საჩაჩახალია, ურთა) მცირე ობიექტთა სახელები აფხაზურენოვანია. დანარჩენ სოფლებში (აძხიდა, აჯრა, მეორე კოპიტი, ნარჯხეუ, პატრახუნა, რეკა, საჩინო) გვხვდება ნარევი მიკროტოპონიმია: ან აფხაზური ან მეგრული, ან კიდევ პარალელური (მეგრულ-ქართული) ვარიანტებით წარმოდგენილი (იქვე, 304-305).

პ. ცხადაია გალის რაიონის დასახლებული ტერიტორიის გეოგრაფიულ სახელწოდებებში აფხაზური წარმომავლობის ტოპონიმთა წილს პროცენტულად შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: მთისძირა სოფლებში – აგვავერასა და ჩხორთოლში – 20-23%, ხოლო ზემო ლუმურიშსა და რეჩხში – 10-12%; ერისწყალ-ოქუმის გამყოფ ვაკე-სერზე მდებარე სოფლებში (კოხორა, ლეკუმხარა, ზემო გალი) – 9%. საილუსტრაციოდ მოცემულია ერთი სოფლის – ზემო ლუმურიშის მაგალითი: სოფელში ჩანერილი ასზე მეტი მიკროტოპონიმიდან 12 აფხაზურია.

მდ. ოხურეიდან სამხრეთის მიმართულებით, ვაკეზე მდებარე სოფლებში აფხაზურენოვანი მიკროტოპონიმია იკლებს. ასე, მაგალითად, ოქუმისპირა სოფლებში მათი წილი მხოლოდ 2-3% აღწევს. ოქუმსა და გუდავასი 4-4 აფხაზურენოვანი მიკროტოპონიმია ჩანერილი, ხოლო ერისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლებში – ზემო ცხირსა და ზემო ბარლებში – თითო-ოროლა. რაც შეეხება ენგურისპირეთს, აქ არც ერთი აფხაზური ტოპონიმი ჩანერილი არ არის (იქვე, 305).

პ. ცხადაია დაასკვნის: **აფხაზთა სამთავროს პოლიტიკურ-ტერიტორიულმა საზღვარმა დაპყრობითი ომების შედეგად მდ. კოდორიდან სამხრეთით, მდ. ენგურამდე გადაინაცვლა. ეს მოხდა XVII საუკუნის დამლევს.**

ტერიტორიების სრული ეთნიკური ათვისების დიდი მცდელობა მაინც წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან **სრული გააფხაზება მხოლოდ აბჟუას შეეხო, ხოლო სამურზაყანოს მკვიდრმა მოსახლებამ შეძლო ენისა და ადათ-წესების შენარჩუნება.** XIX საუკუნიდან მოყოლებული, ეროვნებით აფხაზებსა და ეროვნებით ქართველებს (ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით – მეგრელებს) შორის **საზღვარი ლალიძგის მარცხენა ნაპირას, მდ. ოხურეიმდე გადის** (ზღვისპირა სოფლების გამოკლებით). სამურზაყანოს თანამედროვე ტოპონიმიკური სიტუაციის თვალსაზრისით შემდეგი სურათი გვაქვს: მდინარეები და მათი მთავარი შენაკადები მხოლოდ მეგრულ სახელებს ატარებს, რაც მათი სიძველის მაუწყებელია. სამურზაყანოს მთასა და ზემოთ აღნიშნულ ეთნიკურ საზღვარზე მდინარეთა მცირე შენაკადები აფხაზური სახელების მატარებელია, რადგანაც მოგვიანებითაა წარმოქმნილი. საერთოდ კი, ამ ეთნიკურ საზღვრზე ოიკონიმთა და მიკროტოპონიმთა ერთი ნახევარი აფხაზურია, მეორე ნახევარი – მეგრული. აფხაზები უპირატესად მესაქონლეობას მისდევდნენ, რამაც ასახვა ჰპოვა მთიანი სამურზაყანოს მიკროტოპონიმიაშიც, სადაც აფხაზური ლექსიკა ქარბობს. სურათი მკვეთრად იცვლება მდ. ოხურეის სამხრეთით, გალის რაიონის ტერიტორიაზე: აფხაზურია ოიკონიმთა მხოლოდ 5%-მდე და მთიან-ბორცვიანი ზონის სოფლების მიკროტოპონიმთა 15-20%. ვაკის სოფლებში, მდ. ოხურეიდან სამხრეთით, აფხაზურენოვან მიკრიტოპონიმთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს და ენგურის მარცხენა მხარეს არც მოიპოვება. სამურზაყანოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული აფხაზურენოვანი ტოპონიმები სუპერსტრატს წარმოადგენს და ვინაიდან წარმოქმნილია უკანასკნელი 2-3 საუკუნის მანძილზე, ბუნებრივია, ეს ტოპონიმები შეუძლებელია მიჩნეულ იქნას ამ რეგიონში აფხაზთა უძველესი განსახლების საბუთად (იქვე, 306-306).

გვართა მიგრაციების დასადგენად საინტერესო ინფორმაციის შემცველი გადმოცემები პაატა ცხადაიას დამატებით აქვს წარმოდგენილი 2004 წელს გამოცემულ წიგნში – **„სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“**, რომელშიც IX თავის სახელწოდებაა „აფხაზთა და მეგრელთა თანამედროვე ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული საზღვარი და ტოპონიმიკური ინტერფერენცია“. ფოქვეშელი ნესტორ ჩერქეზიას ჩამადი (ე. ი. პაპის პაპა) შხანუყვა „ჩერქეზეთიდან“ ჩამოსულა ორ ძმასთან ერთად. თვითონ ფოქვეშეში დასახლებულა, ძმები – წარჩესა და ბედიაში. ნესტორი ეროვნებით აფხაზი იყო, თუმცა აფხაზურს ცუდად ფლობდა. დედა მეგრელი ჰყავდა, გვარად ანთია. მეგრული თავისუფლად იცოდა, მაგრამ როცა ეტყოდნენ – მეგრელი ხარ და არა აფხაზიო, ბრაზობდა... საერთოდ, აღნიშნავს პაატა ცხადაია, სამურზაყანოელთა ერთი ნაწილის მიერ წინაპრების საცხოვრისად დასახლებულ რეგიონებს შორის ხშირად ფიგურირებს ყარაჩი და ჩერქეზეთი. სამურზაყანოელები ხშირად ურევენ ერთმანეთში ყარაჩაისა და ადიღეს, ყარაჩაელსა და ჩერქეზს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ყარაჩი „დიდი მთების“ იქით მდებარე ქვეყანაა. „დიდ მთებში“ კავკასიონის მთავარი ქედი იგულისხმება. გადმოცემით, სექანიების გვარისკაცნი ბარში სამუშაოდ ჩამოსულ სვანებს გაატანდნენ ხურდა ფულს და სთხოვდნენ მის გადაგზავნას ყარაჩში, „ჯინჯიხატის“ მოსალოცად (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004, 137-138).

სამურზაყანოს ქართველურ და აფხაზურენოვან ტოპონიმთა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების კვლევას პ. ცხადაიამ სპეციალური ნაშრომი უძღვნა (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ქართველურ და აფხაზურენოვან ტოპონიმთა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართებისათვის. „გიორგი როგავას“ (საიუბილეო კრებული), თბ., 1997, 191-201).

ვინაიდან ცხუმის სამხრეთით ენგურამდე მდებარე ტერიტორიის ძალდატანებითი ეთნიკური ათვისება მხოლოდ XVII საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან იწყება, პ. ცხადაიას თქმით, **ამაზე უწინარეს შექმნილი აფხაზურენოვანი ტოპონიმების ძიება აბჟუასა და სამურზაყანოში ჰგავს შავი კატის ძებნას იმ ბნელ**

ოთახში, სადაც კატა არც იმყოფება. მიუხედავად ამისა, შ. ინალიფას მსჯელობით, ტოპონიმთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მზიმთის აუზიდან მდ. ენგურამდე მდებარე ტერიტორიის ძირითადი მცხოვრებნი აბხაზი ტომები იყვნენ, ხოლო იმ ფაქტს, რომ ტოპონიმთა „სიმჭიდროვე“ და „მკაფიოობა“ რამდენადმე სუსტდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის განაპირა ნაწილში, სადაც ქართული გეოგრაფიული სახელების სიჭარბეა, ასე აქვს ახსნილი: ქართული ტოპონიმიკური ლექსიკის ეს შედარებით მცირე ფენა გვიანდელი (შუა საუკუნეების) ხანისაა. ისინი უნდა წარმოშობილიყო აფხაზეთ-საქართველოს გაერთიანებული ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს პერიოდში, აგრეთვე იმ დროს, როცა მიმდინარეობდა ბატონყმურ ექსპლუატაციასა და უმინობას გამოქცეულ მეგრულ გლეხთა სამხრეთ აფხაზეთში მასიური გადასახლება, რასაც უნდა გამოეწვია გეოგრაფიული ნომენკლატურის შეცვლა (იქვე, 192-193; და იქვე მითითებული ლიტერატურა: Инал -Ипа Ш. Д., Вопросы этнокультурной истории Абхазов. Сухуми, 1976, 381-382). „დააკვირდით, აბორიგენი ქართველობა გვიან მოსულ მოსახლეობად არის მიჩნეული, ხოლო გვიან მოსულ აფხაზებს აბორიგენი მოსახლეობის მანტია აქვთ მოსხმული. სწორედ ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული და სასურველი სინამდვილედაა გადაქცეული“ (იქვე, 193).

აფხაზი მკვლევრები სამურზაყანოში აფხაზთა აბორიგენობის „დასაბუთებას“ რამდენიმე ტოპონიმის (**წკელკარი, ერწყარი, ფოქეში, ღუმურიში, ჩხორთოლი**) მეცნიერულად გაუმართლებელი ინტერპრეტაციით ცდილობენ.

მკვლევარი იმონმებს ენგურ-კოდორის შუამდინარეთის ისტორიულ ტოპონიმებს, რომლებიც დადასტურებულია ქართულ და უცხოენოვან ნაშრომებში, საეკლესიო საბუთებსა და რუკებზე. ეს ტოპონიმებია: სათანჯო, ჟირპიჯი, სუჯონა, ხვითი, სიდა, შეშელეთი, ნამხარი, გაგიდა, ჩხორთოლი, გუდავა, ერწყარი, ოქუმი, ლალიძგა, ჯოყობანყარი, წარჩე, საჩინო, რეკა, ბეღია, მოქვი, სათამაშია და სხვ. არც ერთი ამ ტოპონიმის ამოხსნა დამაჯერებლად აფხაზური ენის მეშვეობით შეუძლებელია. ამასთანავე, დასძენს პ. ცხადაია, სამურზაყანოში, ლალიძგის მარცხენა ნაპირას (ოჩამჩირის რაიონის

სოფლებში) და გალის რაიონში მოიპოვება XVII საუკუნის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილი აფხაზური ტოპონიმები. მათი გაჩენა უკავშირდება დაპყრობილ ტერიტორიაზე აფხაზების დამკვიდრებას. ამჟამად აფხაზურენოვანია აგუბედიის, ილორის, ოხურეის, რეკის, ტყვარჩელის, ფოქვეშის თემების სოფლის სახელები: აძხიდა, ახეცარა, აჯრა, პატრახუნა, აყვარაში (ალბათ, მეგრული „ჩელა-ლის“ თარგმანია), ატიშადუ, აყვარჩაფანი, კაციჰაბლა... ამჟამად მეგრული წარმომავლობისაა: ნარჯხეუ, ოხოჯა, ქვალონი, ილორი, ზენი, ნაგვალოუ, ოხურეი, სუკი, ილორგანი, საჩინო, რეკა, ჯგერიანი (ჯგერი მარიაში „წმინდა მარიაში“), ტყვარჩელი, ფოქვეში, საჩაჩხალია.

გალის რაიონის ცხრა ათეულამდე სოფლიდან აფხაზურ სახელს ატარებს მხოლოდ რამდენიმე: აჩიგვარა, აგვავერა, ლუკუმხარა (სიტყვა **ლუკუმხა** „ხეჭრელი“ მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურის მიერ), პატრახუნა, შაშიკვარა, აკვარიქვა. დანარჩენი სახელწოდებანი ქართველური წარმომავლობისაა (ძირითადად მეგრული). აფხაზური სახელწოდების მქონე სოფლებში ძირითადად ქართული მოსახლეობაა. ქ. გალის დასავლეთით, ერთმანეთის მეზობლად მდებარე სამ სოფელში – პატარხუნაში, შაშიკვარასა და აკვარიქვაში, როგორც ჩანს, აფხაზებს ე. წ. კუნძულებრივი დასახლება ჰქონდათ, რაზეც შემორჩენილი გადმოცემებიც მიუთითებს. სამივე ეს სახელწოდება უნდა წარმოქმნილიყო არა უადრეს XIX საუკუნის შუა წლებისა. სამურზაყანოს ბარში აფხაზური ცალკეული მიკროტოპონიმების გაჩენა, დაუსახლებელი ადგილების აფხაზთა მიერ საძოვრებად გამოყენებას უკავშირდება. თქმულის საილუსტრაციოდ პ. ცხადაია იმონებს ერწყარის მარჯვენა მხარეს, მახუნჯიის ნაპირებზე მდებარე, გაშლილი ვაკე-სახნავების სახელწოდებას – **ბოშინეგლართა** (პარალელური სახელწოდებებია: **ბოშლაგლართა**//**ბოშიაგლართა**. ა-გლართა (აფხ.) „სადგომი“; (იხ. პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 47). ამ ადგილას აფხაზი მწყემსი, ბოშინე მდგარა თავისი საქონლით.

სამურზაყანოს მთებში საძოვრებისა და მცირე მდინარეთა სახელები ძირითადად აფხაზურია. ლალიძგის ზემო დინებისა და ენგურის ხეობის წყალგამყოფი აკიბის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში ად-

გილთა სახელწოდებანი თითქმის მთლიანად მეგრულია, რადგან საქონელს, ძირითადად, საბერიოს, ლუკუხონის, რეჩხის, ლუმურიშის, ოქუშის მეგრული მწყემსები მიერეკებოდნენ. ამ ქედის დასავლეთ ნაწილში მდებარე საძოვრებზე საქონელი დაუდით ჩხორთოლის, ბედიის, ფოქვეშისა და აბჟუის სოფლების აფხაზ მწყემსებს და, შესაბამისად, მიკროტოპონიმიაც აფხაზურია. „აფხაზ მწყემსებს აკიბის ქედის მეტი ტეროტორია ეკავათ, რაოდენობრივადაც მეტნი იყვნენ, – აღნიშნავს პ. ცხადაია, მეტი თიფუც (ბინა) ჰქონდათ და მთებსაც, საძოვრებსაც, ხეებსა თუ წყარო-ნაკადულებს უმეტესად აფხაზური სახელები შეერქვა (არაა იშვიათი ჰიბრიდული – მეგრულ-აფხაზური მიკროტოპონიმებიც). ამ რეგიონის მეგრულ მწყემსთა ლექსიკაშიც უხვად შეიჭრა აფხაზური სიტყვები“ (იქვე, 199).

მკვლევარს ნიშანდობლივად ეჩვენება ის გარემოებაც, რომ სამურზაყანოს დიდ მდინარეთა და მათი მეტად თუ ნაკლებად დიდი შენაკადების სახელები მეგრულია (ლალიძეა, ოქუში, ერწყარი, ოხოჯა, წარჩე, ოჯოლორე, ანარია, ნიშონი, ქვიშონა, ოტაფი...). მათი მცირე შენაკადები კი, ძირითადად მთაში, უპირატესად აფხაზურ სახელებს ატარებს; მაგალითად, მიკროჰიდრონიმებია: აბზაკვარა, არაშკვარა, აპაპკვარა, აპუგარა, აფსრაკვარა, აშთერცა, აჩადარა, ახვანკვარა, ბაქალძიხი, მარშანკვარა, ათუაძარა, ალრა, ყვარათბა, აშანწაკვარა, აცვლმუა, კუზაიკვარა, აძხიდა. მთლიანად აფხაზურია ლალიძის ზემოთის შენაკადთა სახელები.

ზემოთაღნიშნული გარემოება, პ. ცხადაიას აზრით, **ადასტურებს ზოგადტოპონიმიკურ კანონზომიერებას**, რაზეც მსოფლიოში ცნობილი მრავალი მეცნიერი მიუთითებს: დიდ მდინარეთა სახელები არ იცვლება დიდი ხნის მანძილზე, უძლებს ათასწლეულებს და მოსახლეობის ცვლას, ხოლო მიკრომდინარეთა (საერთოდ, მიკროობიექტთა) სახელები ადვილად შეიძლება შეიცვალოს (იქვე, 200).

აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით უაღრესად ფასეული ინფორმაციის შემცველია პ. ცხადაიას მიერ 2004 წელს გამოცემული მონოგრაფია **„სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“**. წიგნი შედგება წინათქმის, შესავლის, ცხრა თავისა და დასკვნებისაგან. „თითქოს სადავო არ უნდა ყოფილიყო, – წერს პ. ცხადაია, – რომ ენგურ-ლალიძის შუამდინა-

რეთის (ამჟამინდელი სამურზაყანოს) აბორიგენები (ძირძველი მოსახლენი) იყვნენ ქართველური ტომები – სვანები და ზანები. მიუხედავად ამისა, აფხაზ მკვლევართა ერთი ნაწილი „ამტკიცებს“, რომ ტოპონიმიკური მონაცემების თანახმად, აფხაზები არიან სამეგრელოს ძირძველი მოსახლენი, ხოლო მეგრელთა წინაპრები აქ ჩამოსახლებულან გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, განსაკუთრებით, გვიან საუკუნეებში.

რა არის ეს? მეცნიერული არაკომპეტენტურობა (უმეცრება) თუ ტენდენციურობა, სასურველის სინამდვილედ წარმოსახვა? ალბათ, ეს უკანასკნელი“ (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004, 4).

ნაშრომის შესავალში მკვლევარს მიზნად დაუსახავს სამურზაყანოს ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, არსებული წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. **სამურზაყანო** ისტორიული მხარის სახელწოდებაა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. გვიან შუა საუკუნეებში (XVII-XVIII სს. მიჯნა) ჩამოყალიბებული აღნიშნული პოლიტიკური ერთეული თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ძირითადად მოიცავდა ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიას. მას შემდეგ, რაც ეს ერთეული მემკვიდრეობით ერგო მურზაყან შერვაშიძეს, მხარესაც მისი მფლობელის სახელის მიხედვით სამურზაყანო ეწოდა.

პ. ცხადაია მრავალრიცხოვანი და უტყუარი ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე შენიშნავს: ვინც სამურზაყანოს ტერიტორიაზე უძველეს აფხაზურენოვან გეოგრაფიულ სახელებს ეძებს, არისტოტელეს ფრაზა რომ გამივიყენოთ, „ფიქრობს სინამდვილის საპირისპიროდ“ (იქვე, 25).

საინტერესოა მკვლევრის მსჯელობა ძველ აფხაზურ წარმართულ სალოცავთა შორის გამორჩეულ **ლაშქინდარსა და შაგუნახაზე**. ლაშქინდარი//ლაშქენდარი ეწოდება ლალიძგის მარცხენა მხარეს მდებარე მთას. სწორედ ამ მთისძირშია განლაგებული სოფლები – ტყვარჩელი და აძხიდა. „ლაშქინდარის ხატი“ დაკავშირებულია მთაზე შემორჩენილ, დღემდე შეუსწავლელ ტაძრის ნანგრევებთან. პ. ცხადაია იმონმებს გასული საუკუნის 70-იან

ნლებში მეგრულის მცოდნე აფხაზი ინფორმატორის საინტერესო ცნობას: „ლაშქენდარნება და ილორნება ყველაზე ძლიერი ხატებია აფხაზეთში. ლაშქენდარის ხატიც ერქვა და ყულიშკარის ხატიც. ღამით ყულიშკარიდან გამოფრინდებოდა რალაც ნათელი, სხივების ფრქვევით გადაუფრენდა ლაშქენდარს და მიემართებოდა ფსხუს ხეობისაკენ“ (იქვე, 36).

სხვა ინფორმატორის ცნობა: „ლაშქინდარი ხატია, მოსული ფანავიდან, რაც ჯგერდის იქითაა. ხშირად უნახავთ, თუ როგორ წამოვიდოდა სინათლე ფანავიდან დიდი ხმაურით, გადმოუფრენდა ღალიძგის გაღმა მდებარე მთა აისჯრას და ლაშქინდარის ჯიხასთან გავარდებოდა“; ან კიდევ: ახლომახლო ორი ძლიერი ხატი იყო – ყულიშკარის ხატი და ლაშქინდარის ხატი. ყულიშკარის ხატი ესვენა ტყვარჩელის ეკლესიაში, რომელიც იდგა ამჟამინდელი რკინიგზის სადგურის ადგილას. ლაშქინდარის ხატი კი მაღალ მთაზე იყო, სადაც მწყემსთა გზა გადიოდა. მწყემსები აქ აუცილებლად აღავლენდნენ ლოცვა-ვედრებას...“ (იქვე, 36-37).

გარკვეულია, რომ **ლაშქინდარ** სვანურად ნიშნავს „სამჭედლოს“. ამიტომ შეუძლებელია მისი გააზრება აფხაზურ წარმართულ სალოცავად. რაც შეეხება ხატის სახელებს – **ლაშქენდარნება** და **ილორნება** (მდრ.: ყულიშკარიშ ხატი, ილორიშ ხატი, ქიაჩიშ ხატი, ჯეგემარიშ ხატი და მისთ.), პ. ცხადაია იმონმებს ოქუმელი და ჩხორთოლელი ზუხბაიების ნაამბობს, რომ შაგუნება დიდი მთების იქიდან, ყარაჩიდან გადმოუტანიათ მათ წინაპრებს, მას შემდეგ, რაც სამურზაყანოს დაცარიელების ამბავი გაუგიათ და აქ გადმობარგებულან (იქვე).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ გეოგრაფიულ სახელებთან სიტყვა-წარმოებითი ძალის მქონე **-ის** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მეგრულ-ჭანური შესატყვისია **-იმ**. მეგრულსა და სვანურში ხშირია გეოგრაფიულ სახელთა **-იმ// -იში** სუფიქსით წარმოება. საერთო-ქართველურ ფუძეენას თავდაპირველად გამოეყო არა სვანური, არამედ ქართული ენა, ხოლო სვანურ-ზანური ერთობა დიდხანს გრძელდებოდა (მ. ქურდიანი, საერთო-ქართველური ენის დიფრენციაციისა და ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის. „ქუთაისური საუბრები“, III, თბ., 1996). თუ ეს ასეა, პ. ცხა-

დაიას აზრით, „-იმ//-იში სუფიქსი შეიძლება ჩაითვალოს საერთო ზანურ-სვანურ სიტყვანარმოებით ელემენტად. არც ისაა გამორიცხული, „სვანურ-ზანური ერთობა“ მეორეული იყოს – შედეგი ენობრივი ინტერფერენციისა კოლხეთის ბარის გარკვეულ ნაწილზე... თუკი „სუანო-კოლხებს“ ჩავთვლით კოლხებთან, ე. ი. ზანებთან ასიმილირებულ სვანებად (ან პირიქით), სწორედ მაშინ გვექნება მეორეული ზანურ-სვანური ერთობა, რაც აგრეთვე ახსნის მრავალ ზიარ ფაქტს ამ ორ მონათესავე ენაში, მათ შორის -იმ//- იში სუფიქსის არსებობას“ (იქვე, 35).

აფხაზი მკვლევრები გეოგრაფიულ სახელებში – **ტამიმ-**, **დლამიმ-**, **თოუმიმ-**, **წკირიმ-** და სხვ., გამოყოფენ ადიღეურ-ჩერქეზულ ტოპონიმიკურ სუფიქსს – **-შ** (Вгажба Х. С., Бзидский диалект абахазского языка, Тб., 1964, 267). შალვა ინალიფა ტოპონიმთა ამავე რიგში ასახელებს **ტამიმს** (აფხ. **ტამშ**), **ფოქვეშს** (აფხაზ. **ფაქუაშ**), **ლუმურიშს** (აფხაზ. **ლუმრიშ**) (Инал-ипа Ш. Д., Вопросы этнокультурной истории абахазов, Сухуми, 1976, 379). შესაძლოა, რომ ტოპონიმთა ამ -შ დაბოლოებას მკვლევარი -ფშ ელემენტის ვარიანტად თვლიდეს. მაშასადამე, დასძენს პ. ცხადაია, აფხაზ მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ **ფოქვეში** და **ლუმურიში** აფხაზურენოვანი ტოპონიმებია, **წკელკარი** აფხაზური **-ანკარის** მეგრული გაყდერებაა, ხოლო **ერწყარი** რთული აფხაზური ტოპონიმის პირველი ნაწილის შეთვისებისა და მეორე ნაწილის გადათარგმნის გზითაა წარმოქმნილი (პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 27-28).

ამჟამად მხოლოდ **ანკარ-წკელკარისა** და **ლუმურიშის** ეტიმოლოგიას შევხვით.

ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზე, გალის რაიონის სოფ. ხოლეში, მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე მალღობს, რაც განაცუდუმდე გრძელდება, **წკელკარს** ეძახიან. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლით, კერძოდ, **X** საუკუნით დათარიღებული დარბაზული ტიპის ეკლესიით. მკვლევართა ყურადღება მიიპყრო ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილმა კედლის მხატვრობის საინტერესო ნიმუშებმა და ქვის ფილებზე ამოკვეთილმა წარწერებმა. ნუსხური წარწერებით. ბარნაველის მიერ **XI**, ხოლო მხედრული – **XVII** საუკუნით და-

თარიღდა. 1962 წელს ლ. შერვაშიძის მიერ აღმოჩენილ და თ. ბარნაველის მიერ ნაკითხულ ერთ-ერთ ნარწერაში ამ ადგილის სახელი დაფიქსირებულია „მწკელიკარის“ ფორმით: „+წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მწკელ[იკარისაო], მეოხ ეყა[ვ წ(ინაშე)] ლ(მრ)თისა მონა[სა] შ[ე]ენსა [თა]რკილ[ს დღესა მას განკითხვისსა]“.

აფხაზი მკვლევრის, კონსტანტინე შაყრილის აზრით, ეკლესიის სახელწოდების აფხაზური ვარიანტი **ანკარ** ნიშნავს „კუთხეს, მიჯნას, საზღვარს“, რაც თითქოს მართლაც შეეფერებოდა ამ ეკლესიის ადგილმდებარეობას. ეს მოსაზრება გაიზიარა ძეგლის შემსწავლელმა ლევან შერვაშიძემ, რომელიც ფიქრობდა, რომ წკელკარი აფხაზური ანკარის ენობრივი ტრანსფორმაციის შედეგად უნდა ყოფილიყო მიღებული. მაშასადამე, მისი აზრით, წკელკარი აფხაზური ანკარის მეგრული გაჟღერების შედეგია (М. Тхайцухов, Абазины. Страницы древней и средневековой истории. Черкесск-Карачаевск, 2006, 39). სამურზაყანოს ზოგიერთი ტოპონიმის (წკელკარი, ერწყარი, ფოქვეში, ჩხორთოლი...) თავისებური ინტერპრეტაციით აფხაზი მეცნიერები ცდილობდნენ სასურველის რეალობად წარმოსახვას. კერძოდ, ისინი აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრისპირა ნაწილში ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების დომინანტობას ქართული ლექსიკის შედარებით გვიან გავრცელებით ხსნიდნენ. ასე, მაგალითად, შ. ინალიფა ფიქრობდა, რომ აფხაზური გეოგრაფიული ნომენკლატურის ქართულით შეცვლა ბატონყმურ ექსპლუატაციასა და უმინობას გამოქცეულ მეგრულ გლეხთა სამხრეთ აფხაზეთში მასობრივ გადასახლებას უნდა გამოენვია (Иналипа Ш., Вопросы этно-культурной истории Абхазов. Сухум, 1976, 382).

აფხაზ მეცნიერთა ამ „დასაბუთების“ საფუძვლიანი კრიტიკა მოცემულია პ. ცხადაიას ნაშრომში. მისი აზრით, **წკელკარის** გრამატიკული, ლექსიკური და ეტიმოლოგიური (მოტივირების თვალსაზრისით) გააზრება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს სახელწოდება მეგრულ ტოპონიმიკურ სისტემას მივაკუთვნოთ. მკვლევარი იმონმებს სამურზაყანოელთა განმარტებას იმის შესახებ, რომ **წკელის**, იგივე **მანცხვარწკელის** თუ მიქელ-გაბრიელის ხატი ესვენა ერისწყლის მარცხენა მხარეს, მაღლობზე მდგარი წყავის ხისძირას. ხესთან სალოცავად მისული ავადმყოფები ღმერთს განკურნებას

შესთხოვდნენ (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, 30). აფხაზურ სიტყვა ანკარისაგან მხოლოდ ორიოდ ბგერის იდენტურობითა და ტრანსფორმაციის გზით მეგრული „ნკელკარის“ მიღება ფონეტიკურადაც დაუსაბუთებელია. „ობიექტის სახელი რომ ანკარ ყოფილიყო, – წერს პ. ცხადაია, – იგი მეგრულში უცვლელად გადმოვიდოდა. მეგრულ ნკელკარს კი აფხაზური მხოლოდ **ანკარ** ფორმით შეითვისებდა საკუთარი ფონეტიკურ-ფონეტიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით. უცნობი სემანტიკის ტოპონიმის გადააზრება ტოპონიმიკაში ცნობილი პროცესია. ფრიად შესაძლებელია, ნკელკარის **ნკ** და **არ** კომპლექსებს აფხაზის შემეცნებაში წამოეტივტივებინა ნაცნობი სიტყვა ანკარ... მაგრამ აუხსნელი რჩება მეორე მხარე: რა (ან რის) საზღვარი გადიოდა ამ გორაზე? ამასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს საბუთიანობა აკლია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ნკელკარი უხინჯოდ იხსნება მეგრულის მონაცემებით და სახელების ტრადიციით, ისევე როგორც ალერტკარი, ბარბალეკარი, მანცხვარკარი და სხვ.“ (იქვე, 31).

პ. ცხადაია იმონმებს სამეგრელოში ოიკონიმთა და მიკროოიკონიმთა (მცირე დასახლებული პუნქტების სახელების) საწარმოებლად გამოყენებულ ერთ-ერთ ინდიკატორს – „კარს“, და შენიშნავს, რომ მეგრულის გავრცელების ზონაში **კარ-** კომპონენტიანი ოიკონიმი (წალიკარი, გულეიკარი, ოხვამეკარი, ჯიხაშკარი, მანცხვარკარი, უფალკარი, თხინაშკარი, ალერტკარი, ბარბაეკარი, ქირსეშკარი, ყულიშკარი) მცირე დასახლების, ხშირ შემთხვევაში ეკლესიის, ან წმინდანის (ხატის) სახელის აღმნიშვნელია (იქვე, 28-30). სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონში ტოპონიმ „ნკელკარის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა შენიშნავენ, რომ სახელწოდება მიღებულია ხატის ან ადგილის სახელზე არსებითი სახელის – **კარის** დართვით. მათ ტოპონიმი ნკელკარი გაიაზრეს, როგორც „ნკელის სამყოფი ადგილის წინ ან ირგვლივ მდებარე ტერიტორია“ (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 208).

„ნკელკარის“ ეტიმოლოგიით დაინტერესდა ვ. ზუხბაია, რომელიც ფიქრობდა, რომ შუა საუკუნეებში „წყევლის კარად“ წოდებული

ეკლესიისთვის მოგვიანებით ხალხს თითქოს „წკნელის კარი“ (მეგრ. წკელიკარი) უწოდებია (ვ. ზუხბაია, სამურზაყანო. ჟურნ. „აია“, 8, თბ., 2000, 83). სახელწოდებას „წყევლის კარად“ გაიაზრებს გ. გასვიანიც (გ. გასვიანი, აფხაზეთი ისტორიული საქართველო. თბ., 2011, 207). ეს მოსაზრება საფუძვლიანადაა უარყოფილი პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიერ, ვინაიდან წერილობითი წყაროები და ზეპირი გადმოცემები არ ადასტურებს ამ ეკლესიის სახელწოდებად ვარიანტების – წკნელის კარისა და წყევლის კარის არსებობას. ამასთანავე, **წკნელის** შესატყვისის მეგრულის ლექსიკურ ფონდში **ჭინუ**, ხოლო წყევლისას – **ჭყალა** წარმოადგენს (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 2008; პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და ტანამედროვე ტოპონიმია,, 31).

ჩვენ მიერ ჩანერილი გადმოცემის მიხედვით, ეკლესიის სახელწოდება უკვემრდება ოდესღაც ამ ადგილას სალოცავ ხედ მიჩნეული წყავის არსებობას. **წყელი, წყი(ი), წყოუ** მეგრულში აღნიშნავს წყავს. **წყეი-ფშქერიც** იგივეა, რაც წყავი. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია **წკელი** სიტყვის მნიშვნელობა სამურზაყანოს მეგრულში. ესაა „მეოხი; ხელის შემწყობი“. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **მანცხვარ-წკნელი** უფლის ეპითეტადაა მიჩნეული და განმარტებულია, როგორც „მეოხ-მაცხოვარი“, ხოლო **წკელ-მანცხვარი** – როგორც „მეოხი და მაცხოვრებელი“ (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, 389, 698).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წკელკარი ეკლესიის სახელია, სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება ხატის სახელწოდებად მისი გააზრება. მაშასადამე, წკელკარი, ჩვენი აზრით „მეოხისკარია“, სადაც **წკელი** წმინდანის (ან წმინდანთა) ეპითეტია, ისევე, როგორც **ხანგარამი** „ლახვროსანი“, **ჯეგე, ჯგეგე** „წმინდა, წმინდანი“, და ზოგადად, შესაძლებელია, მიემართებოდა მაცხოვარს, ან წმიდა გიორგის. წკელკარი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ადამიანთა შემწე რომელიმე წმინდანის ხატი იყო დასვენებული (მსჯელობისათვის იხ. ი. კეკელია, „წკელკარის“ ეტიმოლოგიისათვის. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XVI, თბ., 2014, 238-242); ეთნოლოგ დავით შავიანიძის ცნობით, წალენჯიხის რაიონის სოფლებში აღინიშნებოდა დღესასწაულები, რასაც მსხვერპლშენიშნავდაც

ახლდა. მათ შორის ასახელებს **სანწკელოს** და წერს, რომ **წკელ-**ღვთაებასთან დაკავშირებით მასალა მოპოვებული არ არის, მაგრამ ირკვევა, რომ სანწკელოს იხდიდნენ შემოდგომაზე. მარანში ჩამარხული ამ სალოცავი ქვევრის თავზე „ღინოების“ წევრები დაიჩოქებდნენ, ხოლო უხუცესი შემდეგი სიტყვებით დაილოცებოდა: „მარდიან ღორონთ, წკეელ, სქანი ტიბინი სი ქომუჩი მა, ჩქიმ მოთას დო გიმნაჭყანს“ (მადლიანო ღმერთო, წკეელ, მომეცი შენი წყალობა მე, ჩემს შვილებს, შვილიშვილებს და ნაგრამს)“ (დ. შავიანიძე, სამეგრელო, ქუთ., 2015, 138). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ენგურ-კოდორის შუამდინარეთის აფხაზთაგან რბევა-აოხრების შემდეგ, XVII-XVIII სს-ში წკელკარის ხატი ხიფათს გამოარიდეს და მდ. ენგურის მარცხენა მხარეს, თანამედროვე ნალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე მიუჩინეს ბინა, სადაც სანწკელო „ხვამაც“ გააგრძელეს კიდევ („სანწკელოს“ შესახებ იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941).

ღუმურიში თემის ცენტრია გალის რაიონში. იგი სამ სოფელს აერთიანებს. ესენია: ზემო და ქვემო ღუმურიში და ფართოღალი. ზემო ღუმურიში თემის ცენტრია და სამურზაყანოს მთისძირას, ოქუმწყარის მარცხენა მხარეს მდებარეობს. სოფელი ზ. დ. 240 მ-ზეა და გალს 10 კმ-ით არის დაშორებული. ქვემო ღუმურიში ერისწყლის მარჯვენა შენაკადის – ნიშონის ზემო წელზე, სამურზაყანოს მთისნინეთში, ზ. დ. 240 მ-ის სიმაღლეზე მდებარე სოფელია. გალს 13 კმ-ით არის დაშორებული. სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებული ტოპონიმია კაკუბამ ოხვამე//**ღუმურიშულახვამე**. ასე ერქვა ეკლესიას, სადაც წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ხატები ესვენა (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 79).

ისტორიკოსი შ. ინალიფა ღუმურიშს (აფხაზ. ღუმრიშ) -შ დაბოლოების მქონე ტოპონიმთა რიგში აერთიანებდა (ტამიში, აფხაზ. **ტამშ**, ფოქვეში აფხაზ. **ფაქუაშ**, გულრიფში...). ამასთანავე, მიიჩნევდა, რომ -შ დაბოლოება -ფშ ელემენტის ვარიანტი იყო. ნაშრომის შენიშვნაში მკვლევარი იმონებდა 80 წლის ოქუმელი აღ. ზუხბას გადმოცემას, რომ გალის რ-ნის სოფ. ღუმურიშს უწინ აფხაზები გუმრიფშს ეძახდნენ (Инал-ипа Ш., Вопросы этно-культурной истории Абхазов. Сухум, 1976, 379).

შ. ინალიფას ასეთი „მსჯელობა-დასაბუთება“ იმისთვის სჭირდებოდა, რომ სასურველი რეალობად წარმოეჩინა და ლუმურიშის აფხაზური წარმომავლობა „ემტკიცებინა“. იგივე გზას დაადგა ეთნოლოგი მ. თხაინუხოვიც, რომელიც „ლუმურიშის“ წარმომავლობას აბაზურ-აფხაზურ გვარს – გუმბას-გუიმბას-გუმბოვს უკავშირებს (М. Тхайцхов, Абазины. Страницы древней и средневековой истории. Черкесск-Карачаевск, 2006, 157-158). ამ საკითხით დაინტერესდა ვ. ზუხბაიაც. მისი აზრით, „აფხაზები ლუმურიშს აფხაზურ ტოპონიმად თვლიან და გუმრიშს უწოდებენ. ლუმურიში ქართული ტოპონიმი: **ლუმუ** მეგრულად ლომი და **ურიში** სამეგრელოში გავრცელებული ხორბლის კულტურაა“ (ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში. თბ., 2000, 119). პროფ. თეიმურაზ მიბჩუანის მოსაზრებით, **ლუმირ**//**ლუმურ** სვანურად ნაძვის სახელწოდებაა. აქედან წაროსდგა სოფლის სახელწოდება „ლუმირიში“, ე. ი. ნაძვნარი (თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, 254). ამ ტოპონიმს სვანურ სუბსტრატად მიიჩნევენ აგრეთვე პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა. მათი აზრით სახელწოდება უძველესი ქართველური ტოპონიმი კოლხეთში, რაც სვანურ „ლუმირ“ (ნაძვი) სიტყვაზე ზანური -იში სუფიქსის დართვით უნდა წარმოქმნილიყო. მაშასადამე, მკვლევართა აზრით, ლუმურიში უნდა გავიაზროთ, როგორც „ნაძვისა“ (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 190, 245-246). ისტორიკოსი გერონტი გასვიანიც იმ აზრისაა, რომ ლუმურიში სვანური წარმომავლობის ტოპონიმი: **ლუმურ** სვანურში ეწოდება ნაძვს, ხოლო **-იშ** სუფიქსი სვანურთან ერთად მეგრულისთვისაც დამახასიათებელია (გ. გასვიანი, აფხაზეთი ისტორიული საქართველო. თბ., 2011, 208, 271).

ვ. ზუხბაია არ იზიარებს გამოთქმულ თვალსაზრისს „ლუმურიშის“ სვანურ ტოპონიმად მიჩნევისა და „წინვიანად“ გააზრების შესახებ, ვინაიდან „არც წარსულში და არც ამჟამად ლუმურიშში წინვიანი ხეები არ ხარობდა და არ ხარობს“ (ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, 102).

ნაძვის შესატყვისის სვანური „ლუმირ“ ჩანს სვანეთში ჩანერილ ზოგიერთ ტოპონიმში. მაგალითად, **ლუმირყმიყ** – სათიბი ლახამულაში, **ლუმრა** – დეღე კალაშში, **ლუმრარ** – სალოცავი ფარში. მაგრამ, ამასთანავე, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმზე მსჯელობისას ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ლუმური სიტყვის მნიშვნელობა სამურზაყანოულ მეგრულში. ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით, ესაა „ლომის ყანა; ღომეული კულტურები“. და იქვე მოცემულია **ლუმურიშის**, როგორც ლექსიკური ერთეულის, განმარტებაც. კერძოდ, ლუმურიში მეგრულში აღნიშნავს ღომის ყანობს, ანუ ადგილს, სადაც ამ მარცვლეული მცენარის ნათესებია (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 647).

-იში სუფიქსის შემცველია **XVII** საუკუნის იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის რუკაზე დატანებული ორი ტოპონიმი: **სუბეიში** და **თხეიში...**

ერთისწყალსა და ენგურს შორის ლამბერტს დატანილი აქვს კიდევ ორი პუნქტი – **Tcheis** და **Lethais**. თ. ბერაძე და ბ. ხორავა შენიშნავენ, რომ მათი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. თვით დასახლებულ პუნქტებს შემდეგნაირად კითხულობენ: **ცეიში** და **ლეტაიში** (თ. ბერაძე, ბ. ხორავა, ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი **XVII** ს-ის 50-იანი წლების იტალიური რუკების მიხედვით. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, VI, თბ., 2013, 112).

პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას ვარაუდით, ლამბერტისა და ე. წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ ერისწყლის მარცხენა მხარეს, დაახლოებით ერისწყალთან კეიშის შესართავის პირდაპირ დატანილ Tcheis-ში უნდა იგულისხმებოდეს კეიში. ასე ეწოდება რეჩხინყარის მარჯვენა შენაკადს და მის ხეობას. სათავეს იღებს ჰარუაში და ამჟამად გალის წყალსაცავში ჩაედინება. კეიშის მარჯვენა მხარეს მდებარეობს გალის რაიონის სოფლები – ცხირი და ფართოლალი, მარცხენა მხარეს – რეჩხი (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 80).

ლამბერტის რუკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ პუნქტი **Tcheis** უფრო ზუსტად ერისწყლის (**Heti-scari** Fl.) მარცხენა მხარეს და სათავესთან ახლოს არის დატანილი, რაც მეტყველებს შემდეგი თვალსაზრისის სასარგებლოდ: არქანჯელო ლამბერტისეული **Tcheis**,

ჩვენი აზრით, უნდა წავიკითხოთ არა როგორც ცვიში ან კეიში, არამედ როგორც **თხეიში**. ასე ეწოდება მდინარეს, ხაიშურის ზემო დინებას მესტიის რაიონში. პარალელური სახელწოდებაა **თხეიშურა**. **თხეიშიმდუღი** მთაა ეგრისის ქედზე, მესტიის რაიონში (საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები). თბ., 1987 49). თხეიშის ხეობა ზანდალაკის//ზანდარაკის//რკინისჯვრის უღელტეხილით (სიმაღლე 2758 მ.) უკავშირდება მაგანის ხეობას (ნალენჯიხის რ.). თვით ზანდალაკი კლდოვანი მთაა დიდლალიმდუღის გვერდით, ეგრისის ქედზე (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, 481). ერწყარი ოქუშმის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, 642; პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, 2004, 33). ერისწყალი//ერწყარი სათავეს იღებს **ერთიშში**. ასე ეწოდება ხეობას და ტყე-საძოვრებს გალისა და ნალენჯიხის რაიონების საზღვარზე. მდინარის ზემო წელი ამ ორი რაიონის საზღვარს წარმოადგენს. ლამბერტის მიერ თცჰეის-ის აღნიშვნა ერისწყლის სათავესთან და მისი შედარება თანამედროვე კარტოგრაფიულ რუკებთან დაახლოებით ემთხვევა მესტიის რაიონის **თხეიშის** მდებარეობას.

თხეიშის ლოკალიზაციისა და ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა ბედიის გულანის ერთ-ერთი მინანერი, სადაც ვკითხულობთ: „ბედიელი მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ. შემოგწირე... უჟამიში ბუკუჩავა: მისი ცოლ-შვილითა: და: ყმითა: და რისაც მქონებელი იყოს... ამას გარეთ ტყეიშს დაკარგული ამოვიღე ხვიჩაშათი, მისის ცოლშვილითა, ერთი ცოლ-ქმარი კაცი გუდავას ბიძლუა ბაიდია შემომინირავს სულის დასაოხად...“ (გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004, 91). გულანში მოხსენიებული ნიკოლოზ მხეიძის ბედიელობას ისტორიკოსი გიორგი კალანდია XVII ს-ის I ნახევრით ათარიღებს (იქვე, 91, 97). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ბედიის ეპარქიაში შედიოდა ტყეიშიც.

ვახუშტის ცნობა, რომ ბედიელის სამწყსო მოქვისწყალსა და დადისწყალს (ერისწყალს) შორის იყო მოქცეული, რეალური ვითარების ამსახველად შეიძლება ჩაითვალოს. ტერიტორიულად ბედიელის სამწყსოში შედიოდა ოქუმწყარის, ოხურ(ე)წყარისა და ღალიძგის

ხეობები, ილორის ცნობილი ეკლესია, აგრეთვე სოფლები: ოხურეი/ოხური (გვიანი შუა საუკუნეების საისტორიო წყაროების ხიორი), ფოქვეში, ფუნყური, რეკა, საჩინო, ლალიძგა (ახლანდ. ბესლახუბა), სუბეში (ახლანდ. აჩიგვარა), ოქუმი, ბედია, ჩხორთოლი, ღუმურიში, მუხური, ნარჩე, თხეიში//ტყეიში და სხვ. ეპარქიის ტერიტორია, ჩრდილოეთით, სავარაუდოდ, მოქვისწყლისა და ლალიძგის სათავეებამდე, ხოჯალის მთისკალთებამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით – ხაიშურის ხეობამდე (მსჯელობისათვის იხ. ი. კეკელია, არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნული ორი ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის (Turek, Tcheis). კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VII, თბ., 2015, 142-144).

სუბეში//სუბვი ისტორიული სოფელია. ფიქრობენ, რომ ასე იწოდებოდა დასახლებული პუნქტი გალის რაიონში, ოქუმწყარის ხეობაში, სადაც ამჟამად მდებარეობს სოფელი და თემის ცენტრი აჩიგვარის სახელწოდებით (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 173-174, 232).

XVII ს. იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტისა და ე. ნ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“, მდ. ოქუმის მარჯვენა მხარეს აღნიშნული **Subeis** სწორედ აჩიგვარაში ლოკალიზდება (ვ. ზუხბაია, აფხაზეთო ჩემო, თბ., 1998, 133; კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბ., 2002, 96; მისივე, კოდორ-ენგურის შუამდინარეთის ჰიდრონიმები და ტოპონიმები თეათინელი მისიონერების კოლხეთის რუკებზე. საისტორიო ძიებანი, 2, თბ., 2002).

სუბეში გვხვდება მალაქია კათალიკოსის მიერ ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირულობის წიგნში: „ამას გარეთ სუბეიშს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს...“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, 50). 1621 წლით თარიღდება „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“, სადაც სოფელი „სუბეისა“ და „სუბვის“ ფორმითაა მოხსენიებული: „მრთებს სუბეის ლუაჯაგას მონინლობაჲ, თოსკუამიას პეტრიას მეჯოგობაჲ“ (ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914, 3). იმავე დავთრიდან ირკვევა, რომ „სუბვის სასახლე“ სოფ. მუხურის მახლობლად მდებარეობს, მისი „მიმდგამია“. იქვე ჩამოთვლილია მუხურელ და სუბეიშელ საეკლესიო გლეხთა გვარები: კიტია, პერტია,

ქორჩოლუა, ჯაკონია, ლუაჯაგია, არტონია, ხუნგია, მიქელია, ბიგუა, ჯიმიია... (იქვე, 31-33).

პ. ინგოროყვას მოსაზრებით, სუბეში ერქვა აგრეთვე ნავსადგურს აფხაზეთის ჯიქეთში, მდ. ახეუნთას (ახლანდ. მდ. შახე) შესართავთან. ამასთანავე, სუბეშიხი ყოფილა პარალელური სახელწოდება მდ. შახესი, რასაც მოწმობს XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისში შედგენილი რუკებიც. კერძოდ: ლ. ლიულიეს რუკაზე (1857 წ.) აღნიშნულია მდ. შახე (სუბეშის), ხოლო ა. მარქსის ატლასში (1905 წ.), მდ. შახეს შესართავთან – пост Головинский (Субеших) (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954, 166).

კ. ოკუჯავა იმონმებს გენერალ გოლოვინის 1839 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ პატაკს, სადაც აღნიშნულია, რომ მდ. შახეს შესართავიდან ერთი ვერსის დაშორებით, ჩრდილოეთით, ზღვაში ჩაედინება მდ. სუბაში. მას იცნობს XVII ს. იტალიელი მისიონერი ჯოვანი და ლუკა. თურქი მოგზაურის – ევლია ჩელების მიერ მოხსენიებული ნავსადგური „უსუვიში“, ციხესიმაგრითურთ – სწორედ სუბაში უნდა იყოს. მაშასადამე, მდ. შახეს შესართავთან, ჩრდილოეთით, ერთი ვერსის დაშორებით, ზღვაში ჩაედინებოდა მდ. სუბაში და მის ნაპირას, ზღვის შესართავთან, მდებარეობდა ამავე სახელწოდების სოფელი (კ. ოკუჯავა, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტოპონიმის საკითხები. თბ., 2012, 43-44).

პ. ინგოროყვა ტოპონიმ „სუბეში“ გამოყოფდა ფუძე-სიტყვას სუბ- და ზანურ ბოლოკიდურ ფორმანტს -ეშ-ი. ამასთანავე, სუბ-ს (სუბ-ი//სუბ-უ) მიიჩნევდა ზუბ-ი//ზუფ-უ გეოგრაფიული სახელწოდების სახესხვაობად. მეცნიერის დაკვირვებით, ზანური -ეშ-ი ზოგადქართული -ის-ი სუფიქსის იდენტურია. როგორც ფუძით, ისე გრამატიკული აღნაგობით, გეოგრაფიულ სახელებს – სობისსა (სოფლები გორის რაიონში. აკონკრეტებენ: ზემო და ქვემო სობისი) და სუბემს ასევე იდენტურად მიიჩნევდა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, 166).

კ. ოკუჯავას დაკვირვებით, „სუბაში“ უნდა გამოიყოს სუბ- ძირი და ზანურ-სვანური გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი -აშ-ი სუფიქსი. მკვლევარი ფიქრობს, რომ სუბ- ძირის ფონეტიკური ნაირსახეობა უნდა იყოს ზუბი (ასე ეწოდება სოფლებს ცაგერი-

სა და ხობის რაიონებში) და ზუფუ (ახლანდ. ლიხნი) (იქვე, 44-45). „სუბ-ძირიანი ტოპონიმები, – წერს კ. ოკუჯავა, – არა მხოლოდ დასავლურ-ქართული, არამედ საერთო ქართული უძველესი სატომო სახელიდან მომდინარედ შეიძლება ჩავთვალოთ“ (იქვე, 45).

აღნიშნულ საკითხს მკვლევარი ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომშიც შეეხო: **სუბ-//ზუფ-** ძირი და ზანური **-ში** სუფიქსი კ. ოკუჯავას მაშინაც აფიქრებინებდა, რომ ზუფუ და სუბეში ქართული სუფიქსებით გაფორმებული და, მაშასადამე, ქართული წარმოშობის ტოპონიმები იყო. ამასთანავე, გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში დადასტურებულ „სუბჴი“ ვარიანტში იგი გამოყოფდა -ვი სუფიქსს და მას, ჩვეულებრივ, ტოპონიმების მანარმოებელ ქართულ სუფიქსად მიიჩნევდა. კ. ოკუჯავას აზრით, სწორედ -ვი სუფიქსი გამოიყოფა ტოპონიმებში: მოქვი, ლიახვი, არაგვი, თმოგვი, კეხვი და ა. შ. (კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბ., 2002, 78, 96).

ჩემი აზრით, საისტორიო წყაროებში დადასტურებული ტოპონიმი **სუბეშისა** (ნათესაობითი ბრუნვის -იმ სუფიქსისა და სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსით) და მისი ვარიანტის – **სუბვის** ამოსავალი უნდა იყოს მეგრული **სუბე, სუბვი, სუბი**, რაც „მალლობს, შემალლება“ ნიშნავს. სამეგრელო-სამურზაყანოში ამ მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე სიტყვა **ზუბი**.

ა. ქობალია „მეგრულ ლექსიკონში“ ამ სიტყვის შემდეგ მნიშვნელობას გვთავაზობს: „**ზუბი** ბორცვი, გორაკი; მთის უღრანი ტყე“ (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 311). ამავე ლექსიკონის მიხედვით, სუბეში იგივეა, რაც „მალლობისა“ (იქვე, გვ. 596).

მაშასადამე, **-(ი)ში** კოლხური სუფიქსით ნანარმოები დასახლებული პუნქტის სახელწოდება სუბე-იმ-ი შინაარსობრივად ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორისაც სამეგრელოში დამონმებული ტოპონიმები: გაგურუში, გაგურუ, გუგურო, გუგურუ „მცირე ბორცვი, შემალლება“ და ა. შ. („სუბეშის//სუბვის“ ეტიმოლოგიაზე იხ: ი. კეკელია, აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ონომასტიკური კრებული“, ახალციხე, 2013, 115-117; მისივე, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმებიდან (სიდა, სუბეში/

სუბვი, წყაბა). კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XVII, თბ., 2013, 163-165).

პ. ცხადაია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ონომასტიკაში ცნობილია განმეორებად დაბოლოებათა ოდენ ანალიტიკური გზით გამოყოფისა და მათი სადერივაციო მორფემებად მიჩნევის მეთოდი, მაგრამ ეს მეთოდი ეფექტური არ არის, რადგანაც ეტიმოლოგიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ეტიმონის დადგენას ენიჭება (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, 38-39).

შ. ინალიფა აფხაზურენოვან ტოპონიმიაში გამოყოფილი -ალ//-ულ სუფიქსიანი წარმოების ანალიზისას მაგალითად ასახელებს ტოპონიმებს: გალი, დალი, ჯალი, ამტყელი (აფხაზ. ამტყალ), ხოჯალი (აფხაზ. ხუაჯალ), ჩხორთოლი (აფხაზ. ჩხუართალ), ტყვარჩელი (აფხაზ. ტყუარჩალ), მერხეული და სხვ. (Инал-ипа Ш., Вопросы этнокультурной истории Абхазов. Сухуми, 1976 378).

პ. ცხადაიას საჩოთიროდ და სასურველის სინამდვილედ წარმოდგენად ეჩვენება **დალი, ფალი, გალი, ჯალი...** ტოპონიმებში **ალ** სუფიქსის გამოყოფა, მაშინ, როცა არც მისი მნიშვნელობა ვიცით და არც დარჩენილი თანხმონითი ნაწილისა (იქვე, 39).

გალი მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, ერისწყლის მარცხენა მხარეს (ქსე-ში შეცდომით მითითებულია: „ერისწყლის ორივე ნაპირზე“), ზ. დ. 48 მ. სოხუმს დაშორებულია 47 კმ-ით. გალისადმი მიძღვნილ სტატიაში ვ. ზუხბაია საუბრობს ამ უძველესი დასახლებული პუნქტის ისტორიაზე და შენიშნავს, რომ 1934 წელს არქეოლოგ ს. ნ. ზამიატინის მიერ მიკვლეულ იქნა პალეოლითის, ნეოლითის, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში წყალსადენის კერამიკული მილების აღმოჩენა და კოშკის ნაშთები კი შუა საუკუნეებში აქ დასახლებული პუნქტის უტყუარი დასტურია. ვ. ზუხბაიას თქმით, ტოპონიმ გალის წარმოშობა მეცნიერულად არ არის ახსნილი. იტალიელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტის 1654 წელს შედეგნილ რუკაზე გალი გოგიელის ფორმით აღუნიშნავს. ქალაქის შემოგარენში სოფლებს ეწოდება პირველი გალი, ზემო გალი, ცხირო-გალი, ჭიჭე გალი (ხუმუშკურის ცენტრი). ვიდრე გალი სამურზაყანოს ცენტრი

გახდებოდა, მას მეორე გალი რქმევია. ვ. ზუხბაია ფიქრობს, რომ გალი ისეთივე წარმოშობისაა, როგორისაცაა აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში დადასტურებული ტოპონიმები – ჯალი, დალი, ფსკალი და სხვ. აფხაზების სურვილი იყო და დადგენილებაც მიიღეს, რომ გალისათვის ალექუმჰარა ეწოდებინათ, მაგრამ ვერ განახორციელეს (ვ. ზუხბაია, გალი და გალელები. გაზ. „მახარია“, 5, თბ., 2001, 16). გალხუჭი „პატარა გალი“ ეწოდება ბორცვს სახარჩილაოში, სოფ. სამქვარში. სამქვარის უწინდელი სახელი გალხუჭი ყოფილა და აქ იყო თემის ცენტრიც (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 50). 1906 წელს სამურზაყანოს საპოლიციო უბნის ცენტრი ოქუმიდან გალში იქნა გადმოტანილი. 1928 წელს გალი იქცა დაბად და გალის მაზრის ცენტრად. 1930 წლიდან გალის რაიონის ცენტრია. ხოლო 1932 წელს მინიჭა ქალაქის სტატუსი. 1931 წელს გალი რკინიგზის ხაზით თბილისს შეუერთდა. გალის ძირძველი გვარებია: ბასარია, ჭანტურია, ზუხბაია, ზაქარაია, კვეკვესკირი, შონია, უბილავა, მარლანია (გალის შესახებ იხ. ვ. ჯაოშვილი, თ. ბერაძე, ქსე, II, თბ., 1977, 639; ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში. თბ., 2000, 84-89; მისივე, გალი. თბ., 2002). ზემო გალი სოფელია პირველი გალის თემში, მდ. ნიშონის ნაპირას. გალს 8 კმ-ით არის დაშორებული და ზ. დ. 100 მ-ზე მდებარეობს. ზემო გალში მცხოვრები როსტობაიები თვლიან, რომ მათი წინაპარი აქ ბზიფიდან ჩამოსახლებულა, ხოლო ჯეჯეიების წინაპარი ფოცხოელი საჯაია ყოფილა (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 245).

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით, არსებობს გალის რაიონი, გალის საქალაქო საბჭო და პირველი გალის სასოფლო საბჭო. ამ უკანასკნელში გაერთიანებულია ოთხი სოფელი: სამქვარი, ზემო-გალი, ლეკუმხარა და კობორა (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის. ცნობარი შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ვ. ა. ქუჩუკაშვილმა. თბ., 1961, 118).

გალთან დაკავშირებული ტოპონიმია **გალური**. ალ. ლლონტის ცნობით, ასე ეწოდება ტყეს სოფ. ობუჯში (ა. ლლონტი ტოპონიმური ძიებანი, I, თბ., 1971, 55), ხოლო პ. ცხადაიას მიხედვით გალ-

ური ჰქვია უბანს და ხეობას ლაფთარის ზემო წელზე (პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003, 21).

აღ. ლლონტი ქალაქისა და რაიონის ცენტრის სახელწოდებას უკავშირებს **ღალი** „ღელე“ სიტყვას და ფიქრობს, რომ გალი სწორედ ამ **ღალი**-დან არის მიღებული (ა. ლლონტი, დასახელებული ნაშრომი, 55).

ვ. ზუხბაიას აზრით, სიტყვა „გალი“ მეგრულად მოულოდნელობისაგან უცბად შეკრთომას ნიშნავს (გალ), მაგრამ რა კავშირი აქვს ამ მეგრულ სიტყვას ტოპონიმ „გალის“ წარმომავლობასთან, ამის შესახებ აღარაფერს ამბობს. მკვლევარი დასაშვებად მიიჩნევს გოგიელიდან გალის წარმოშობას (ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, 88-89). დავაზუსტოთ: მოულოდნელობისგან შეკრთომა მეგრულში აღინიშნება არა **გალ**, არამედ **ღალუა** სიტყვით. შდრ. ა. ქობალია: **ღალუა** შეშინება, დაღალვა, გათვალვა; **ღალებური** „გაღალული, გათვალული“ (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 641).

შ. ინალიფა ცდილობს აფხაზურენოვან ტოპონიმიაში გამოყოფს -აღ//-ულ სუფიქსიანი წარმოება და შენიშვნაში ჩამოთვლის, მისი აზრით, მსგავსი წარმოების ტოპონიმებს: გალს, დალს, ჯალს, ჯამალს, ამტყელს (აფხაზ. ამტყაღალ), ხოჯალს (აფხაზ. ხუაჯღალ), ჩხორთოლს (აფხაზ. ჩხუართღალ), ტყვარჩელს (აფხაზ. ტყუარჩღალ), მერხეულს და სხვ. (Инал-ипа Ш., Вопросы этно-культурной истории Абхазов. Сухум, 1976, 378). „რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? მხოლოდ ის, რომ ზოგ მკვლევარს სასურველი სინამდვილედ ეჩვენება“ (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, 28).

თეიმურაზ და გვანცა გვანცელაძეები, ეხებიან რა ონომასტიკურ სიტუაციას ამჟამინდელ აფხაზეთში, ყურადღებას ამახვილებენ სოხუმის, გალისა და ტყვარჩელის სახელწოდებებში წარმოდგენილ სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსს, „რომელიც რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე წერისას უტყუარად ახდენს ამ პოლისონიმების ქართველური წარმომავლობის მარკირებას“ (თ. გვანცელაძე, გ. გვანცელაძე, ონომასტიკური სიტუაცია ამჟამინდელ აფხაზეთში. ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 2013, 21). ამის გამო, –

დასძენენ ავტორები, – აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი დაჟინებით მოითხოვს საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, საელჩოებისაგან და მასმედიისაგან რუსულ და სხვა ენებზე წერონ და წარმოთქვან **Сухум//Sukhum, Гал//Gal, Ткуарчал//Tkuarchal**. სამივე ქართველური პოლისონიმის სხვა ენებზე წერისას თუ წარმოთქმისას უნდა იქნას შენარჩუნებული ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი. მკვლევარი ეხება სახელწოდება „გალის“ ეტიმოლოგიასაც და ფიქრობს, რომ იგი მიღებულია ძველქართული **გალი** „უშტოო ხე“ სიტყვისაგან. ასეა იგი განმარტებული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (იქვე, 21).

გალი სიტყვას სამურზაყანოს მეგრულში რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობენ. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემული ამ სიტყვის რამდენიმე განმარტებიდან ტოპონიმ „გალის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისათვის საგულისხმოდ გვეჩვენება შემდეგი: **გალი** ნაჭდევი; ნიშანდადებული, დაჭდევებული (ხე); კუნძი, მორი, უშტოო ხე; შიშველი გორა; საკაფი ტყე ტოტებს დააჭრიდნენ, რომ გამხმარიყო და იოლად მოეჭრათ); გაუჩეხავი ტყე, რასაც კაცი მოერევა და მხარზე გადებულს მიიტანს სახლში (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 75).

მიგვაჩნია, რომ სიტყვის დამონმებული მნიშვნელობებიდან ერთ-ერთი შესაძლებელია ყოფილიყო საკვლევი ტოპონიმის მოტივაციის საფუძველი. საგულისხმოა **გალი** სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა, რაც არ არის დაფიქსირებული დღემდე გამოცემულ მეგრულ ლექსიკონებში. ესაა **გა(ა)ლი** – გასასვლელი (გზა), ალაგი.

დალი. ისტორიული მისიმიანეთის ფარგლებში შემავალი კოდორის ხეობის ზემო წელი **დალის ხეობის**, ხოლო ხეობაში მდებარე სოფელი **დალის** სახელით არის ცნობილი. იგი დასავლეთიდან ხვარაშ-ჯერილის მთაგრეხილით ესაზღვრება მესტიის რაიონს. დალ-სვანეთიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთში გადასვლა კი შესაძლებელია კლუხორისა და მარუხის უღელტეხილებით (ქ. მარგიანი, დალ-სვანეთის ტოპონიმია. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, I, თბ., 1998, 134). დალის სვანეთი მოიცავს მდ. კოდორის ოთხი შენაკადის – აძგარის, ყულუჩის, გვანდრისა და საკენის აუზში მდებარე ტერიტორიას. მისი ფართობი 650 ჰა-ა. აქედან 350 ჰა საკარმიდამო

და სახნავ-სათიბი მიწებია, დანარჩენი კი – ტყის მასივები და ალპური საძოვრები (ქ. მარგიანი-დადვანი, ზოგი რამ დალის ხეობის ტოპონიმიდან, წგნ.: ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი, კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ). ტ. I, 2007, 40). „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ცნობით, დალი ეწოდება ისტორიულ მხარეს კოდორის სათავეებში, ახლანდელ გულრიფშის რაიონის ტერიტორიაზე, რაც ნებელდის ნაწილს წარმოადგენს. XIX ს-ში დალი მარშანიების ფეოდალური საგვარეულოს ერთი შტოს გამგებლობაში ყოფილა. 1832 წელს ეს მხარე ფორმალურად, ხოლო 1837 წლიდან ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო... 1867 წელს ცარიზმმა დალის მთელი მოსახლეობა ნებელდის სხვა მცხოვრებლებთან ერთად ოსმალეთში გაასახლა. შემდგომში აქ დასახლებულან ზემო სვანეთიდან გადმოსული მოახალშენნი (ქსე, III, თბ., 1978, 350).

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დალი მოიცავს აჯარისა და ლათის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებს.

XIX ს. 30-იან წლებში აფხაზეთის ოლქში დასახლებულია სოფ. დალი (ხორავა 2004: 106, და იქვე მითითებული ლიტ-რა). დალის თემის სოფ. დალიდან 1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს თურქეთში გადაუსახლებიათ 106 სული. აფხაზ მუჰაჯირთა სიაში დასახლებულია შემდეგი გვარები: აგაბაშ-იფა, კოჯბაი (კუჯბა), ცვაცვა, ლამხაშ, სათირგია, თერში, ახბა, გუნბა, არგუნ, კაბბა, ახუბა, ბიგუა, ყურდგელ, ყურდგელია, ამჭიბა, მაზუა, აჰმეთ, აძიმბა, ბიგბა, რაფა-იფა, კვაძბა, მატუა, ფინძაჩა, მარშანია, ბარჩან, აბსაბაშ-იფა, ჩოლია, შვხუანაა, ჯანბერ, ბადლია, თარბაი, ბუთ, ბადია, ჰაჯიმ, აგრუა (ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა. თბ., 2004, 157-159). ბესარიონ ნიჟარაძის თქმით, აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე დალის ხეობა ბუნებას ყოველგვარი სიუხვით აუვსია. აფხაზების გადასახლებამდე ეს ხეობა მარლანიების თუ მარშანიების საკუთრებას წარმოადგენდა; მათ შემდეგ ამ ხეობაში ხან მეგრელები დასახლებულან, ხან – რუსები. 1878 წელს ბ. ნიჟარაძეს უნახავს აქ მოსახლე ერთი მდიდარი რუსის ოჯახი. ჩუბუხევის საზოგადოების სოფ. ცალერში მცხოვრები გვარმიანები ირწ-

მუნებიან, რომ მათი წინაპრები დალის ხეობიდან ჩამოსახლებულან (ციტირება იხ. ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. სალიანი, რ. იოსელიანი, კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ), I, 16). XX ს-ის დასაწყისში დალის ხეობაში სვანების ხელახალი გადმოსახლების პროცესი დაიწყო (იხ. ე. უბილავა, დალის ხეობა (ნარკვევი). „ლიტერატურა და ხელოვნება“, 18 იანვარი, თბ., 1948: 3-4; თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, 130-131).

მისიმიანეთში სუანო-კოლხების შერეული მოსახლეობის არსებობის გათვალისწინებით სვანური წარმოშობის ტოპონიმთა გავრცელებას ამ მხარეში პ. ინგოროყვა ბუნებრივად მიიჩნევდა და ხეობისა და სოფლის სახელწოდებას – **დალ**, სვანთა წარმართული პანთეონის ქალღმერთის სახელს – **დალს** უკავშირებდა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954, 159). ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა გ. გასვიანმა, რომელიც წერს: „სვანური ტოპონიმია აგრეთვე კოდორის ხეობის სახელი **დალ** (აფხაზეთის სვანეთის სახელი), რომელიც მისიმიანთა ნასახლარია. დალზე, როგორც ნადირობის ქალღმერთზე, სვანურ ფოლკლორში არაერთი მითი და თქმულებაა გავრცელებული. დალ, როგორც წარმართული ღვთაება, ღრმადაა ჩამჯდარი სვანურ რწმენა-წარმოდგენათა პანთეონში“ (გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბ., 1991, 208).

დალის შესახებ ვრცელი მსჯელობა მოცემულია თ. მიბჩუანის გამოკვლევაში. მატრიარქატის ეპოქის დროინდელი ქალღმერთის, სილამაზისა და მშვენიერების განსახიერების, მიუვალ კლდეებში მცხოვრები ოქროსნაწნავებიანი დალის სახე ფართოდ აისახა სვანურ ხალხურ პოეზიასა და მითოლოგიაში. VIII საუკუნის შემდეგ ისტორიის არენიდან გამქრალი სვანთა ერთ-ერთი ტომის – მისიმიანების განსახლების ადგილს კოდორის ხეობაში დღემდე შემორჩა აღნიშნული წარმართული ქალღმერთის სახელწოდება **დალ**. სვანეთში ამ კულტის მოსახელე გეოგრაფიული სახელწოდებების – **დალი თანალ**, **დალია კოჯარ** და სხვ., გავრცელება სვანებში დალის კულტის განსაკუთრებული ადგილის მაუწყებელია (თ. მიბჩუანი,

დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 343-344).

მისიმიანებისათვის დალი ერთ-ერთ უმაღლეს და უმთავრეს ღვთაებას რომ წარმოადგენდა, ამის მიმანიშნებელია თვით მათი განსახლების ტერიტორიის დღემდე მოღწეული სახელწოდება. ამ მხარეს დალი უნდა რქმეოდა **XX** ს-ის დასაწყისამდე, ანუ სვანების აქ ხელმეორედ დასახლებამდე. **XIX** ს-ის 50-იანი წლების ცნობით (ლ. ლიულიე) ამ მხარეს დალ ეწოდება. ამასთანავე, ჩვენ ზემოთ დავიმონმეთ **XIX** ს. 30-იანი წლების ცნობაში სოფ. დალის დასახელების შესახებ (ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა, 106). მაშასადამე, თ. მიბჩუანის აზრით, ისტორიული მისიმიანეთი დალის სახელს ატარებს უძველესი დროიდან და არა **XX** ს-ის დასაწყისიდან. „ამ კუთხის ასეთი სახელი მისიმიანთა სვანურობის ხელშეუვალი არგუმენტია, მით უმეტეს რომ დალ ტერმინი უცხოა აფხაზურისათვის. შ. ინალ-ივა დალ ტოპონიმთან დაკავშირებით არაფერს ამბობს“ (თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 137). სვანურში დალ დედოფალს, ხოლო დალოდ დედოფალას ნიშნავს. სვანურში არსებული სიტყვა დედფალ „დედოფალი“ ქართულიდან უნდა შემოსულიყო. მაშასადამე, სვანთა შორეული წინაპრებისთვის დალი ცნობილი იყო როგორც დედოფალი, სილამაზისა და მშვენიერების განსახიერება, რისთვისაც დროთა განმავლობაში გააკულტეს. სვანთა განსახლების ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დალის კულტი წარმართულ ღვთაებათა პანთეონში ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს იკავებდა (იქვე, 345-346).

კ. დონდუა წერს: „**დალი**, ნადირობის ქალღმერთი... ლახვს ი თანალს ხაყლუნის დალიმდ ი ალიმდ... = საძოვარ მთებსა და დიდ მთებში ეშინიათ დალის და აღის“ (კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 2001, 74).

ქ. მარგიანის დაკვირვებით, დალ-სვანეთში სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი, აგრეთვე მიკროტოპონიმია, ძირითადად სვანურენოვანია. სვანურ ენაზე აიხსნება ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ამ სექტორის გეოგრაფიული სახელწოდებანი. გვხვდება რამდენიმე ათეული აფხაზურენოვანი

ტოპონიმი. სამ ათეულამდე სახელწოდება აფხაზური ტოპოფორმანტებით (-რა, ბა, -უა) არის გაფორმებული. ერთეულების სახით დამონმებულია მეგრული და რუსულენოვანი ტოპონიმებიც (ქ. მარგიანი, დალ-სვანეთის ტოპონიმია. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, I, 136). დალ-სვანეთის ტოპონიმის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი სვანურენოვანია, რაც ქრონოლოგიურად შესაძლებელია ორ შრედ, ორ ფენად გაიმიჯნოს: ახალი და ძველი. ახალ ფენას მიეკუთვნება ძირითადად მიკროტოპონიმები, რაც უკავშირდება დალის ხეობაში სვანთა მეორედ თუ მესამედ ჩამოსახლების პერიოდს, ე. ი. XIX-XX სს. მიჯნას. ძველ ფენას მიეკუთვნება ანტიკური პერიოდის ბერძენ თუ რომაელ ავტორებთან, აგრეთვე შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმები: ფუსდა//ფუსტა, კლუხორ, დარენ, ჩხალთა (- ჩახარ//ჩიხარი), კოდორი (В. Кварчия, Ойконимы Абхазии в письменных источниках. Сухуми, 1985, 67; ქ. მარგიანი, დალ-სვანეთის ტოპონიმია. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, I, 137-138).

ქ. მარგიანიც იმ აზრისაა, რომ ხეობის სახელწოდება დალ მომდინარეობს ნადირობისა და მონადირეთა მფარველი სვანური ღვთაების, ულამაზესი ქალღმერთის – დალის სახელისაგან. ამ სახელს იმონმებენ შუა საუკუნეების მოგზაურები – ლულიე და ნორდმანი. საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოდორის ხეობას ეს სახელი უხსოვარი დროიდან, თვით მატრიარქატის ეპოქიდან უნდა ეტარებინა (ქ. მარგიანი, დალ-სვანეთის ტოპონიმია. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, I, 138).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და კუთვნილების თვალსაზრისით საგულისხმოა სვანთა შემდეგი განმარტება: „აღას ხაჟხა დალა ხეობა, ლითხუარი ღერბეთ – დალ იცაუდა აღ ხეობას. დალა ლამზოფარ ჩიგარუ ლაშხედა ამჩუ მეზგე მარას, ამჩუ მერდე მარას, ხოშამ ი ხოხრამ!.. ალა ლი დალა ხეობა ლი, დეა სამეგრელო-ზემო სუანეთ... მუშუანგქა ამჩუ იუალადელ დას ხოჩდა...“

ამას ჰქვია დალი[ს] ხეობა, ნადირობი[ს] ღმერთი დალი იცავდა ამ ხეობას. დალი[ს] სალოცავი მუდამ შეენოს აქ მცხოვრებ კაცს, აქ მყოფ კაცს, უფროსსა და უმცროსს... ეს არის დალი[ს] ხეობა,

არავითარი სამეგრელო-ზემო სვანეთია... სვანის გარდა, აქ არავინ ყოფილა არასოდეს..." (ქ. მარგიანი-დადვანი, ზოგი რამ დალის ხეობის ტოპონიმიდან, წგნ.: ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. სალლიანი, რ. იოსელიანი, კოდორული ქრონიკები, I, 41-42).

დალევი სვანები მიიჩნევენ, რომ დალის ხეობა არც აფხაზეთია და არც სვანეთი. ისინი თავიანთ თავს სვანებს კი არ უწოდებენ, არამედ – „დალელს“ (მგ-დალ) და „დალელებს“ (დალ-არ). „ფეტვს დალში აღარავინ თესავს, სვანეთიდან გვიგზავნიანო“ – იტყვიან ხოლმე ხეობაში. ქართველმა მეცნიერებმა საველე სამუშაოების დროს გაარკვიეს, რომ სვანები დღესაც კი არ აღიქვამენ კოდორის ხეობას აფხაზეთის ტერიტორიად. ამიტომაც უწოდებიათ ხეობისთვის მათთვის უფრო ახლობელი, სვანური სამყაროსათვის ბუნებრივი ტოპონიმი **დალ** და არა **კოდორ** (ქ. მარგიანი-დადვანი, ზოგი რამ დალის ხეობის ტოპონიმიდან, წგნ.: ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. სალლიანი, რ. იოსელიანი, კოდორული ქრონიკები, I, 17; ი. ჩანტლაძე, კვლავ „კოდორ“-ის ეტიმოლოგიისათვის. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXI სამეცნიერო სესია. მასალები. თბ, 2010, 82).

სვანების მიერ დალის ხეობის კუთვნილების საკითხის ასეთი გააზრების მიუხედავად და ტოპონიმ **„დალის“** წარმომავლობაზე მსჯელობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო **დალი, დაღ, დალუ** სიტყვების მეგრულმა მნიშვნელობებმა. ესაა „დასავლეთი, დასავალი, დაისი; სერის მომიჯნავე დაბალი და წაგრძელებული გავაკება“ (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 233). შდრ.: დალიური „დასავლური“; დალონი „დაისი, დასავლეთი; დალური „დასავლური“; დალურ პუმპულა „დასავლური ნესვის ჯიში“; დალურ ქყონი „დასავლური მუხის ჯიში“ (იქვე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დალის მეგრული წარმომავლობის ოროგრაფიულ ნომენად, კერძოდ, სერის მომიჯნავე დაბალ და წაგრძელებულ გავაკებად გააზრება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დალის ხეობაში ფიქსირებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში გამოიკვეთებოდა მეგრულენოვან ტოპონიმთა

შედარებით მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ზოგადი სურათით თუკი ვიმსჯელებთ, სადღეისოდ ის გარემოება იკვეთება, რომ ხეობის ტოპონიმურ ფონდში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი მაინც სვანურენოვანია. ამის მიუხედავად, უალრესად ჰიპოთეტურ დონეზე ტოპონიმ „დალის“ ჩვენ მიერ წარმოდგენილ განმარტებას არსებობის უფლება მაინც აქვს, თუკი გავითვალისწინებთ მისიმიანთა ეთნიკური ვინაობის შესახებ დღემდე არსებულ მოსაზრებებს შორის ერთ-ერთს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომელიც მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ წერს: ძვ. წ. VI-IV სს-ში ჰეკატე მილეტელისა და სკილაქს კარიანდელის გეოგრაფიულ ტექსტებში მოხსენიებული კოლაელნი ეკუთვნოდნენ კოლხურ შტოს და იყვნენ აბორიგენი მოსახლენი მისიმიანეთის მხარისა. შემდეგ ხანებში, არაუგვიანეს ძვ. წ. I საუკუნისა, აქ სვანები ჩამოსახლებულან (სტრაბონის ცნობა). უფრო გვიან ამ ორი ტომის შერევით წარმომდგარა ნარევი ტომი სვან-კოლხებისა (სუანო-კოლხნი) ანუ ეგერ-სვანებისა, მეგრულ-სვანებისა... „ხოლო რაც შეეხება მისიმიანებს (ე. ი. მისიმიანეთის მხარეში მოსახლე სვან-კოლხთა ნარევი ტომს), მათი ენა, როგორც პირდაპირ აღნიშნავს აგათია, არ იყო კოლხური (მეგრულ-ლაზური); ამის მიხედვით მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ენა ყოფილა ან სვანური, ან ადგილობრივი მისიმიანური დიალექტი, რომელიც სვანური და მეგრული ენის შერევის ნიადაგზე წარმოშობილა“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართული მწერალი მეათე საუკუნისა, 145).

მაშასადამე, სტრაბონის მიხედვით „კავკასიონის მთიან მხარეში, დიოსკურიის ზემოთ“, ე. ი. ისტორიული მისიმიანეთის ტერიტორიაზე „სუანო-კოლხების“, იგივე სვანების, ჩამოსახლებამდე მისიმიანეთში სახლობდა კოლხური (მეგრული) მოსახლეობა – კოლაელნი. ტოპონიმ დალის გაჩენაც სწორედ ძვ. წ. I ს-მდე პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს.

ტყვარჩელი მდებარეობს ღალიძგის ხეობაში, ზ. დ. 200-600 მ-ზე. მდინარის გასწვრივ 17 კმ-ზე გაშენებული ქალაქი სოხუმიდან 80 კმ-ით არის დაშორებული. ქვემო დასახლებაში მდებარე ადმინისტრაციულ ცენტრს კვაზანი//კვეზანი ეწოდება. სამურზაყანო-

ელნი სწორედ ამ დასახლებას მიიჩნევენ უწინდელ ტყვარჩელად. კვეზანის გარდა ტყვარჩელში მდებარე სხვა დასახლებებია აკარმარა, ჯანტუხა და კუმიზი (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 296). 1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს სოფ. ტყვარჩელიდან თურქეთში გადაუსახლებიათ ვინმე ზაფას აშხოა (ბ. ხორავა აფხაზთა მუჰაჯირობა, 133).

1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს სოფ. მოქვიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა სიაში დასახლებულია შემდეგი გვარები: ჭოლოკუა, ადღეიბა, ხვარაა, კერსალ, ქუთელია, არსია, ყაზან-ოღლი, ანჩაბაძე, თარბა, აშცა, ქარია(ქირია), ჩხონგურია, ჯინჯოლია, ჯინჯელ და ქუთარბა (ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა, 130-132).

აფხაზეთში 1890-1921 წლებში მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების სიაში დასახლებულია ტყვარჩელის 12 მოციქულის სახელობის ხის ეკლესია (გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, 215).

კავკასიის მხარის 1886 წლის სტატისტიკური ცნობარის მიხედვით, ტყვარჩელი სოფელია კოდორის ხეობაში, გუფის თემში. მ/შ 743 სული მამაკაცია, 683 – ქალი. სულ 1426 სული (Сводъ статистическихъ данныхъ о населенныи закавказского края, извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ 1886 г. Тифлисъ. 1893, 14).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1925 წლის ცნობარი გვაუწყებს, რომ **ტყვარჩელი** სასოფლო საბჭოა კოდორის მაზრაში (სსსრ. ადმინისტრაციული დაყოფა (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა). ტფ., 1925, 127). ადმ. – ტერიტ. დაყოფის 1930 წლის ცნობარიდან ირკვევა, რომ კოდორის მაზრაში არსებული ტყვარჩელის სასოფლო საბჭო ოთხ სოფელს აერთიანებდა: ათიშადუს, აკუარჩაბანს, აძხიდას და ტყვარჩელს/აბგიგდარას. ამ უკანასკნელში 108 კომლი (507 სული) სახლობდა. მ/შ ერთი რუსი იყო, დანარჩენი – აფხაზი (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1930, 163). 1961 წლის ცნობარის მიხედვით ტყვარჩელის სასოფლო საბჭოში კვლავ ოთხი სოფელი შედის: ატიშადუ, აბლიდარა, აძხიდა და აყვარჩაფანი (საქართვე-

ლოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის. ცნობარი შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა ვ. ა. ქუჩუკაშვილმა. თბ., 1961, 125).

ისტორიკოსი ბ. ხორავა ფიქრობს, რომ XVII ს. იტალიელი მისიონერების – ლამბერტისა და კასტელის რუკებზე აღნიშნული **ტკვა-ჯა** იგივე სოფ. ტყვარჩელია. მკვლევარი იზიარებს ტოპონიმის თ. გვანცელაძისეულ განმარტებას (ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა, 103; იხ. აგრეთვე თ. ბერაძე, ბ. ხორავა, ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი XVII საუკუნის 50-იანი წლების იტალიური რუკების მიხედვით. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013, 108). რუკაზე დატანილი **Tqugia** (ტკვაჯა), ჩვენი აზრით, ტყვარჩელი არ უნდა იყოს, არამედ უნინ არსებობდა სოფელი ამ სახელწოდებით. ტკვაჯა, ვ. ზუხბაიას აზრით, ჯგერდეს სექტორში მდებარე სოფელი იყო, ასეთი სახელწოდების სოფელი კი ამჟამად არ არსებობს (ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, 82).

ხალხური ეტიმოლოგია ოიკონიმ „ტყვარჩელისა“ ასეთია: ბზის გასატანი მასალა აქ იყო „ტკვარჩილი“ – გრძლად დაწყობილი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 296). ტყვარჩელის ეტიმოლოგიას პირველად ი. ყიფშიძე შეეხო. მან ამოსავალ ვარიანტად მიჩნეული **ტკვარჩელი** „თეთრ კიბედ“ განმარტა. **ტკვა/ტყვა** იგივეა, რაც საფეხურებით ჩაჭრილი მორი, საცალფეხო კიბე, ხოლო **ჩე** „თეთრის“ შესატყვისია (მსჯელობისათვის იხ. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, 329).

პ. ინგოროყვა ტკვარჩელში გამოყოფდა ორ სიტყვას: **ტკვა** „კიბე“, **რჩელი** „დაფენილი“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, 172). ვ. ზუხბაია იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ლალიძგის ხეობაში, ქვედა მინერალურ წყაროსთან ჩასასვლელად დაგებული-დაფენილი ყოფილა კიბე (ტკვა რჩელი), რამაც სახელი მისცა დასახლებულ პუნქტს (ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, 81). ქ. ლომთათიძემ ტოპონიმში მეორე კომპონენტად გამოყო ქართული **რეც** ფუძის ზანური შესატყვისიდან მომდინარე **ფენილის** (განფენილის) შინაარსის მქონე სიტყვა, ხოლო **ტყვა** დაუკავშირა **ტყვი(ა)** სიტყვას,

რაც, მკვლევრის აზრით, „უნდა მიუთითებდეს ტყვიის (ე. ი. მადნის) არსებობაზე აღნიშნულ ადგილას. შესაბამისად **ტყვარჩელი** უნდა ნიშნავდეს ტყვია (რესპ. მადან) – ფენილს (მოფენილს, განფენილს)“ (ქ. ლომთათიძე, ტყვარჩელის გაგებისათვის. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისე-ბი. თბ., 1994, 9). კ. ოკუჯავა სახელწოდებაში გამოყოფს **ტკვა** „კიბე“ სიტყვას, მაგრამ არაფერს ამბობს მეორე კომპონენტზე – **რჩელი** (კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში, 102). ტოპონიმ „ტყვარჩელის“ შესახებ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზი მოცემულია ენათ-მეცნიერ თ. გვანცელაძის ნაშრომში. მისი აზრით, სახელწოდების ი. ყიფშიძისეული და პ. ინგოროყვასეული ეტიმოლოგია ხალხურ ეტი-მოლოგიას უფრო მიაგავს. ქ. ლომთათიძის ვარაუდი ქ. ტყვარჩელის ტერიტორიაზე სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ქვანახშირის საბადოს არსებობას ემყარება. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საბადოს სამრეწველო დამუშავება აქ მხოლოდ 1935 წელს დაიწყო და XX ს-ის 20-30-იან წლებამდე ტყვარჩელში სა-ბადოს არსებობის შესახებ ადგილობრივმა მოსახლეობამ არაფერი იცოდა (თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში, „არტანუჯი“, 10, 2000, 91).

თ. გვანცელაძე ტოპონიმ ტყვარჩელის სხვაგვარი ახსნა შე-მოგვთავაზა. მან ტოპონიმი მცენარის სახელის მხოლობითი რიცხ-ვის ფორმას დაუკავშირა. მკვლევრის აზრით, სახელწოდების ამოსავალია მცენარე **ყოჩივარდას** მეგრული შესატყვისი **ტყ-ვარჩელია//ტკვარჩელია**. თვით მცენარის მეგრული სახელწოდე-ბა ტყვარჩელია//ტკვარჩელია კომპოზიტია და „ტყავაშლილს, ტყავდაფენილს, ტყავდაგებულს“ ნიშნავს. მცენარის ბოტანი-კურ-მორფოლოგიური თავისებურება – მინაზე მცენარის ღე-როს ირგვლივ ტყავივით სქელი და უხეში ფოთლების როზეტივით დაფენა მხარს უჭერს სახელწოდების ამგვარ ეტიმოლოგიას (იქვე, 91-92). თ. გვანცელაძის ზოგადი დასკვნა ასეთია: ქ. ტყვარჩელის აფხაზეთური სახელი **ტყვარჩალ** მიღებულია აფხაზეთი ენისათვის დამახასიათებელი ნასესხები სიტყვების ადაპტაციის წესების სრუ-ლი დაცვით: **ტყვ** კომპლექსი არ არის დამახასიათებელი აფხაზეთი წარმოშობის სიტყვებისათვის, სამაგიეროდ გვხვდება მხოლოდ

ქართველიზმებში. მოხმობილია საილუსტრაციო მასალაც: აფხაზ. **ატყვა** – ქართ. **ტყვე, ატყვაცრა** „გასკდომა, აფეთქება“ – მეგრ. **ტყვაცი** „მეხის გავარდნა“ და ა. შ. მეგრულ მახვილიან ე ხმოვანს აფხაზურში კანონზომიერად ცვლის ა ხმოვანი. გარდა ამისა, რამდენადაც XVII-XVIII სს-მდე კოდორის მარცხენა ნაპირზე აფხაზური მოსახლეობა არ იყო, აფხაზური **ტყვარჩალ** ფორმა ამ დრომდე ვერ გაჩნდებოდა (იქვე, 92).

სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა გ. გასვიანმა, რომელმაც ტოპონიმი **ტყვარჩელი – ტყვარჩვალ** სვანურ ენაზე დაყრდნობით განმარტა, როგორც „შავტალახიანი მენყერი“ (გ. გასვიანი, აფხაზეთი ისტორიული საქართველო, 2011, 191).

„ტკვარჩელია“//„ტყვარჩელია“ მეგრულში „ყოჩივარდას“ შესატყვისია, ხოლო „ტკვარჩელი“ აღნიშნავს ხის ფენილ კიბეს, ხეფენილს. მაგრამ ტოპონიმ „ტყვარჩელის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას საგულისხმოდ და ანგარიშგასანევად გვეჩვენება მეგრულში დადასტურებული ამ სიტყვის კიდეც ერთი მნიშვნელობა. კერძოდ, ტკვარჩელი ამასთანავე ნიშნავს „ხერგილს, დასტა-დასტა დაკეცილს, ერთმანეთზე დანყობილ-დალაგებულს“. ტკვარჩელს ისეთ ხერგილზე, ყორეზე იტყვიან, როცა ლოდები, ქვა-ლორღი, ხის მორები, ტოტები და ძეძვი ერთმანეთზეა დახერგილ-დახვავებული.

ჯალი სოფელია ოჩამჩირის რაიონის მოქვის თემში, მოქვისა და ლალიძგის შუამდინარეთში, ზ. დ. 160 მ-ზე. ოჩამჩირეს დაშორებულია 32 კმ-ით, აკვასკეს – 10 კმ-ით (ქსე, X, 1986, 533). ამავე რაიონში სხვა სოფელს **ჯალ-აფსუა** ჰქვია. თ. გვანცელაძემ არ გაიზიარა აფხაზი ენათმეცნიერის – ვალერი კვარჭიას მოსაზრება, ოიკონიმ **ჯალ-ის**, სხეულის ნაწილის – ქედის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ჯალ** სახელიდან მომდინარეობის შესახებ, ვინაიდან „სხეულის ნაწილის სახელწოდების გეოგრაფიულ ობიექტთან დაკავშირებას სემასიოლოგიური ახსნა ესაჭიროება: საქმე ისაა, რომ ოჩამჩირის რაიონის დაბლობ ზოლში მდებარე ეს სოფელი თავისი გეოგრაფიული სპეციფიკით გამორიცხავს მისი სახელის კავშირს ქედთან“ (თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ტოპონიმის ისტორიის გაყალბების მორიგი მცდელობის შესახებ. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, ტ. VI, თბ., 2013, 134). მკვლევარი ფიქრობს, რომ ოიკონიმს საფუძ-

ვლად უდევს ხის, ძელის აღმნიშვნელი ზოგადქართველური წარმომავლობის მეგრული **ჯა** სიტყვის ამოსავალი ***ჯალ-ი** სახეობა (შდრ.: **ჯალ-ი**: ძელი), რომელიც დაცულია **ჯა** სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმებში, შდრ.: მხ. რ. **ჯა** „ხე, ძელი“ – მრ. რ. **ჯალ-ეფ-ი** „ხეები; ძელები“ (იქვე).

ჯალი მეგრულში აღნიშნავს როგორც ძელს, ისე ტყეს, კორომს. **ჯალონა/ჯალონი** ტყეა, **ჯალა-ჩქონი** ხებუჩქნარიანი, ტყიანი კუნძულია მდინარეში (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 734). შდრ. **ჯალონა** „ტყე დიდრონი ხეებით“ – ტყე სოფ. ისულაში, კითსა და დიდ გოთეს შუა (პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, სენაკის რაიონი, VII, 2013, 423). დამონმებული ტოპონიმის ფუძეა **ჯალ-**, ხოლო **-ონა** კრებითობის სუფიქსია.

ზოგი მკვლევრის მიერ აფხაზურენოვან სახელად ჩათვლილი ტოპონიმი, პ. ცხადაიას თქმით, სინამდვილეში ქართველური წარმომავლობისაა და მათგანაა მიღებული აფხაზური ვარიანტები. სხვა გეოგრაფიული სახელების ანალიზითაც დასტურდება, რომ მეგრელები ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის ძირძველი მოსახლენი იყვნენ დიდი ხნით ადრე, ვიდრე გაჩნდებოდა სახელწოდება „სამურზაყანო“. მკვლევარი აშკარად ქართველური (ძირითადად მეგრული) წარმომავლობის ტოპონიმთა რიგში განიხილავს ოქუმს, შეშელეთს, წარჩეს, საჩინოს, რეკას, მუხურს, ფუნყურს, ჯოჯობანყარს, სათანჯოს, პაპათს, ლეტაიშს, კადარს, ხვითს, ნიფურისას, ოტობაიას. ზოგი მათგანი მოიხსენიება წერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებში (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, 47-60).

საანალიზო გამოკვლევის მესამე თავში პ. ცხადაია განიხილავს ორ ტოპონიმს, რომლებიც აღნიშნულია თეატინელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“. ეს ტოპონიმებია: Sugiona და Jirpiji. პირველი მათგანი ლამბერტს ეტი-სცარი-ს (ერისწყლის) ორ სათავე-მდგენელს შუა აქვს მითითებული და პ. ცხადაიას მოსაზრებით იგივეა, რაც ზანური ჰიდროგრაფიულ-ოროგრაფიული ტერმინი **ჟირპიჯი** „ორპირი“. ადგილის სახელწოდების მოტივაციის საფუძველი, თვალშისაცემი ნიშანი უნდა იყოს – ორი მდინარის შეერთების ადგილი – ჟირპიჯი, ჟიპიჯი, ჟვრპიჯი. „ორპირი“

ღელე-მდინარეთა შესართავის აღმნიშვნელი უძველესი მეგრული ტერმინია. პიჯი „პირი“ ამ კომპოზიტებში მეტაფორულად აღნიშნავს ღელეს, მდინარეს (და არა ნაპირს). „ცხადია, ლამბერტის Girpiji არის ზანური **ჟირპიჯი** „ორპირი“, – დაასკვნის პ. ცხადია, – ერთ დროს მთელ კოლხურ ზღვისპირეთში გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინი: იტალიურში **g** გრაფემა i ხმოვნის წინ იკარგება, როგორც **ჯ** (თუ თავის მხრივ, **gi** კომპლექსს არ მოსდევს ა, ო, უ), მეორე მხრივ, იტალიურში **ჟ** ბგერა არ მოიპოვება და უცხო სიტყვებში მასაც **g** გამოხატავს (შდრ. Giraffa „ჟირაფი“). მაშასადამე, არქანჯელო ლამბერტისეული Girpiji არის მთელ კოლხურ ზღვისპირეთში გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინი „ჟირპიჯი“, ანუ ორპირი“ (იქვე, 66; განსხვავებული მოსაზრებისათვის იხ. რ. ხვისტანი, ოქუმისწყლის ხეობის ქრისტიანული ძეგლები (ჩხორთოლის ეკლესია). „საისტორიო ძიებანი“, 2, თბ., 1999, 240; ვ. შენგელია, მთიანი სამეგრელოს ერთი ტოპონიმის შესახებ. XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003, 68).

ერისწყლის სათავესთან, მთისძირას, ორ მდგენელს შუა და მიმდებარე ბორცვებზე გაშლილი სოფლის ამჟამინდელი სახელწოდებაა **ჟირღალიშქა** „ორღელეშუა“ (ადგ. ვარიანტი: ჟირთომიშქა), რაც ლეკუხონის საკრებულოშია. „როგორც ჩანს, – წერს პ. ცხადია, – XVII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა მიერ გადამწვარ-გადაბუგულ სოფელში რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაბრუნებულმა ახალმა თაობამ სოფლის სახელდებისათვის ისევ და ისევ თვალსაჩინო სამოტივაციო ნიშანი გამოიყენა – ორი ღელის შეერთება. ამან გამოიწვია ჟირპიჯის („ორპირის“) შეცვლა ჟირღალით („ორღელით“) და წარმოქმნა სოფლის სახელწოდებისა – ჟირღალიშქა „ორღელესშუა“ (იქვე, 67).

ჩვენი აზრით, არც ის არის გამორიცხული, რომ **ჟირპიჯი** და **ჟირღალი** ერთი და იგივე ობიექტის პარალელური და თანადროული სახელწოდება ყოფილიყო.

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე ენგურის მარჯვენა ნაპირას აღნიშნული სოფელი **Sugiona**, პ. ცხადიას მოსაზრებით, სინამდვილეში არის არა **სუჯიონა**, ან სუგიონა, არამედ **სუჯონა** (იტალიურში **gio** იკითხება, როგორც – **ჯო**. შდრ. იოვანე ჯოვანე „ახალგაზ-

რდა“). ცოცხალ მეტყველებაში ვერმოღწეული ტოპონიმი სუჯონა, ფიქრობს მკვლევარი, – „ცვარნამიან ადგილს“ უფრო ნიშნავს, ვიდრე „სუროვანს“, ვინაიდან მეგრულში დადასტურებული **სუნჯე//ცუნჯე** ძირი (ნ განვითარებულია) ქართული ცუარ//-ცურ „ცვარი“ ლექსემის მეგრული შესატყვისია (იქვე, 69-70). შდრ. ო. ქაჯაია: **სუნჯი** იგივეა, რაც **სუნდი, ცუნჯი** – ცვარი, ნამი (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 618). **ცუნდი//ცუნჯი** ნამი, ცვარი; **ცუნდელ/რ-/ი//ცუნჯერ-ი** „ნამიანი“; **ცუნდუა, ცუნჯუა** „[და]ცვარვა, [და] ნამვა“ (მისივე, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, 358). ა. ქობალიას განმარტებით, სუნჯი ნიშნავს „ცვარს, ნამს; თრთვილს; **სუნჯიმ მაშაყარალი** იგივეა, რაც „ნამიკრეფია“; **სუნჯუა** „ცვრევაა, ცვარვაა, ნამვაა“ (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 597). **ცუნდი//ცუნჯი** ლექსიკოგრაფის მიერ განმარტებულია, როგორც „ცვარი“; **ცუნდუა** „ცვარვა“, ხოლო **ცუნდ-შიმორი** „ნესტი, ცვარ-ნამი“ (იქვე, 685).

საანალიზო გამოკვლევის IV თავში პაატა ცხადაია განიხილავს აფხაზური ტოპონიმის – **აფსჰა იძიხ** – ეტიმოლოგიას. შ. ინალიფას განმარტებით, იგი აღნიშნავს „აფხაზეთის მეფის წყაროს“ და იმის მაუწყებელია, რომ აფხაზები XVII ს-ის II ნახევრამდე, ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფოს ეპოქაში, ბინადრობდნენ კოდორის აუზიდან მნიშვნელოვნად სამხრეთით, მდ. ენგურამდე (შ. ინალიფა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 218). აფხაზი მკვლევრის – ვ. ფაჩულის დაკვირვებით, „საიდუმლოებითაა მოცული სახელწოდება აფსჰა იძიხი, რაც დარქმევიან სოფლის მახლობლად მდებარე წყაროს. გადმოცემის თანახმად, ამ წყაროსთან რამდენიმე დღით გაჩერებულა სამეგრელოში მიმავალი დედოფალი აფხაზეთისა“ (Пачулия В., Абхазия, Сухуми, 1976, 155).

შ. ინალიფა აცხადებს, რომ სოფ. კუტოლში წყაროს ეწოდება **აფსხა იძიხ**. აქ, თითქოს აფხაზეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია ყოფილა (შ. ინალიფა, დასახელებული ნაშრომი,

გვ. 409). აფსჰა იძიხ წყაროს სახელად პ. ცხადაიას ჩაუწერია აგრეთვე სოფ. კაციჰაბლაში, საკოზმას უბანში. ტოპონიმის პარალელური სახელწოდებებია **აკანტორაძიხ// ალასაძიხ. აძეხი** – აფხაზურში, მართლაც წყაროს აღმნიშვნელია, ხოლო ა-ფსჰა არ ნიშნავს აფხაზეთის მეფეს. საკუთრივ აფხაზებს ხომ მეფეც არ

ჰყოლიათ. ამ უხერხულობას შ. ინალიფაც გრძნობს და შენიშნავს: **აფსჰა** აფხაზების მიერ მშობლიური ენის ბაზაზე შექმნილი აფხაზური გამოხატვაა ცნებისა – მეფე. იგი დღემდე გამოიყენება „აფხაზეთის მეფის“ (და არა „მფლობელის“) მნიშვნელობით და რომელიც უეჭველია, დაკავშირებულია აფხაზთა სახელმწიფოს წარმოშობასთან. პირველი „აფსჰა“ ალბათ, ლეონ II იყო, რომელმაც გააერთიანა საკუთრივ აფხაზები (Инал-ипа Ш., Вопросы этно-культурной истории Абхазов, 409). პ. ცხადაიას მართებული გააზრებით, აფსჰა იძიხ ზანური „მაფანყარის“ აფხაზურ თარგმანს წარმოადგენს. ქართულსა და ზანურში ცნება „მეფის წყარო“ (იშვიათად, „დედოფლის წყაროც“) გამორჩეული, უხვდებიტიანი წყაროს (ე. ი. ვოკლუზის) ეპითეტი. მამასადამე, **მაფანყუ** და მისი ვარიანტები, ისევე, როგორც ლექსემა მეფისწყარო, უძველეს დროში გამოიყენებოდა არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით: იგი გამორჩეული, საუცხოო, უხვდებიტიანი წყაროს (ვოკლუზის) ეპითეტი იყო. აფხაზურში აფსჰა იძიხ-ს არ მოეპოვება ის გადატანითი მნიშვნელობა, – დაასკვნის პ. ცხადაია, – რაც მას ქართველურ ენებში აქვს. სამურზაყანოში წყაროს სახელად დამონმებული აფსჰა იძიხ, აშკარაა, მეგრულ-ჭანური „მაფანყარის“ თარგმანს (კალკს) წარმოადგენს და წარმოქმნილია არა უადრეს XVIII საუკუნისა, ე. ი. ამ რეგიონში აფხაზთა ძალადობით დამკვიდრების შემდგომ პერიოდში (იქვე, 75-76; მისივე, აფხაზური **აფსჰა იძიხ** და ზანური „მაფანყუ“. XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. ეძღვნება პროფ. თ. უთურგაიძის დაბადების 70 წლისთავს (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თელავი, 1997, 35-36.

გამოკვლევის VI თავია „სამურზაყანოს აბორიგენული ტოპონიმის ლექსიკა“. პ. ცხადაიას შეხედულებით, ტოპონიმთა ერთი ნაწილის ახსნა შესაძლებელია უკვე მივიწყებული ან თითქმის მივიწყებული მეგრული სიტყვებით, რაც მათ სიძველეზე მიუთითებს. ასეთი ტოპონიმებია: რეფი, რეჩხი, ცხირი, დიხაგუძუბა, დიხაზურგა, ვეშკუდელი, ხუმენი, მუხური და სხვ. **რეფი** და **რეჩხი** მეგრულში მშრალ, ქვავანარ ადგილებს ეწოდება. **ცხირუა** თხლად, მეჩხრად ღობვას ნიშნავს. ამჟამად ცხირუას ეტყვიან დასობილ მესერზე მავთულის გაჭიმვას გარკვეული ტერიტორიის შემოსასაზღვრავად.

გალის რაიონში მდებარე სოფლისა და თემის ცენტრის სახელწოდება **ცხირი** სემანტიკურად უკავშირდება მეჩხრად ღობვას. უძველეს დროშივეა წარმოქმნილი ოიკონიმები – **ნარჯხეუ, ლეჭარაიე და ლეცეცე**. ნარჯხეუს თავდაპირველი ფორმა, პ. ცხადაიას აზრით, ნაჯიხუ „ნაციხარი“ უნდა ყოფილიყო. სოფელში, მაღალ გორაზე, მართლაც არის შემორჩენილი ძველი ნაციხარი. სახელწოდებები – ლეჭარაიე და ლეცეცე მიუთითებს, რომ ამ სოფლებში ოდესღაც ჭარაიებს და ცატავეებს უცხოვრიათ. უძველესი კოლხური ტოპონიმებია აგრეთვე **ლიო და ოლიე**. ამ ორ სახელწოდებას შემოუნახავს ძველი ქართული სიტყვა **ლია** „ლამი, ღრმა ტალახი, საფლობი“ (ქეგლ). შდრ. ლია – სოფელი წალენჯიხის რაიონში.

უძველესი ზანური ტერმინები **დიხაგუძუბა** და **დიხაზურგა** აღნიშნავს მინაზვირულებს, გორა-ნამოსახლარების ერთ-ერთ უძველეს სახეობებს. გალის რაიონში სოფლებს ეწოდება დიხაგუძუბა და დიხაზურგა. აქვე დასტურდება ტოპონიმები – **დიდი დიხაგუძუბა//ფართო დიხაგუძუბა, ჭიჭე დიხაგუძუბა, დიხაგუძუბა, დიხაზურგა** და ა. შ. „გუძუბა, ზურგა და კურზუ ბორცვის აღმნიშვნელი თითქმის სინონიმური ლექსემებია. სუბსტანტიური მსაზღვრელი **დიხა** „მინა“ საზღვრულ კომპონენტ ბორცვს ალბათ, მაშინ სჭირდებოდა, როცა იგი ხელოვნური იყო, ე. ი. მინაყრილს წარმოადგენდა. მაშასადამე: დიხაშ გუძუბა → დიხაგუზ(უ)ბა, დიხაშ ზურგა → დიხაზურგა, დიხაშ კურზუე → დიხაკურზუე. აღსანიშნი ობიექტები ვაკე-ბორცვებია, თავმოვაკებული შემადლებებია. რა თქმა უნდა, ისინი გვხვდება ზღვისპირა ვაკეში და მთიანი სამეგრელოს მდინარისპირა ჭალებში“ (იქვე, 106).

ძველი (და ახალი) ქართულის კუთვნილება **ველი**, პ. ცხადაიას დაკვირვებით, მეგრულში შემონახულია **ვე** ფორმით. ტოპონიმურ მასალაზე დაკვირვებით და მეგრულის კარგად მცოდნე ხანდაზმულთა განმარტებების გათვალისწინებით, პ. ცხადაიამ დაადგინა, რომ ვე არის არა ყოველგვარი მინდორი, არამედ პატარა მინდორი ტყეში. სამურზაყანოში ვე ლექსემის შემცველი ოიკონიმია **ვეშკუდელი**. გვხვდება აგრეთვე მიკროტოპონიმები: **ვეშკუდელი, ვე, ვერჩე, დიდვე, ბიაშვე // ბიაშური**.

ვარჩა ეწოდება სოფელს აფხაზეთის შავიზღვისპირა დაბლობზე, გულრიფშის რაიონის ბაბუშარის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირას. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარის მიხედვით ბაბუშერის თემში შემავალი სოფელი **უარჩედ** იწოდება. მისი ამჟამინდელი სახელია **ჟ არჩა**. ენათმეცნიერ თ. გვანცელაძის აზრით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველურ ტოპონიმთა ორი ფენა გამოყოფა: ისტორიული – მრავალი საუკუნის მანძილზე წერილობით წყაროებში დადასტურებული, და ახალი – XIX ს-ის II ნახევრიდან გაჩენილი. ტოპონიმთა ერთი ნაწილის წარმომავლობა სადაოა. „ამ რიგის ტოპონიმებს, – წერს თ. გვანცელაძე, – აქვთ ორი – აფხაზური და ქართული – ვარიანტი (კ¹დრე – კოდორი, ოჩამჩგრა – ოჩამჩირე, ჟარჩა – ვარჩე, ელგრ – ილორი, ფაქ¹აშ – ფოქევეში, კ¹ტოლ – კვიტოული, ჯგრღელ – ჯერღული, ტყ¹არჩალ – ტყვარჩელი და მრ. სხვ.). ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ რიგის ტოპონიმები ქართველური წარმოშობისაა და აფხაზური ვარიანტები მათგან არის მიღებული. პირუკუ პროცესის დაშვებას ეტიმოლოგიასთან ერთად ხელს უშლის სესხების კანონზომიერებანი – აფხაზურ ვარიანტებს ისეთი ფონემატური სტრუქტურა აქვთ, რომ მათგან ქართული ვარიანტების მიღება ვერ იხსნება“ (გვანცელაძე, II სამეცნ. კონფ., 1989: 14). ტოპონიმ „ვარჩეს“ ეტიმოლოგიასა და წარმომავლობის საკითხზე მსჯელობისას საგულისხმოდ გვეჩვენება აკად. ქ. ლომთათიძის თვალსაზრისი, რომ სესხების დროს ქართული ენის **ე** ხმოვანი აფხაზურს ძველ ნასესხობებში მუდამ **ა** ხმოვნით აქვს შეცვლილი. „აფხაზურ-აბაზურისათვის უცხო იყო **ე** ხმოვანი, – წერს მკვლევარი, – ამას ნათელყოფს ნასესხები მასალაც. სხვა ენათაგან ადრე შეთვისებულ სიტყვებში **ე** ხმოვანი გადმოცემულია **ა** ხმოვნით. შდრ. მაგ., ქართულიდან აფხაზურში შესული: წესი – ანას, ჯიბე – აჯება, კამეჩი (მეგრ. კამბეში) – აკამბაშ, გამდელი („განდეგილი“) – აგანდალ, მონაფე – ამანაფა, საკაცე – ასაკასა, ჩელტი – აჩალტ, სანებელი – საძბალ, ივანე – იუანა (შდრ. რუსულის გზით შესული – ივან!“) (ლომთათიძე, 1976: 47). ქ. ლომთათიძე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, „რომ ნასესხებ მასალაში ე ხმოვანი უკანანისმიერთა და ფარინგალური **ყ**-ს მომდევნოდ გადმოცემულია იმავე **ა** ხმოვნით, მაგრამ იწვევს

სათანადო თანხმობანთა გაპალატალურებას (რაც უნდა მიუთითებდეს აღნიშნულ გარემოცვაში სხვა ენათა ე ხმოვნის დიფთონგურ გადმოცემაზე). შდრ. მაგ., ქართულიდან აფხაზურში შესული კეტი – აკ'ტი, სარკე – ასარკ'ა, სარეკელი – ასარკა'ლ, გედი – აგ'ად, გემო – აგამა, სახე – ასახ'ა („სურათი“), უწყება – აუწყაბ'ა და მისთ.“ (იქვე). გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდების ამოსავალია მეგრ. **ოჩეს** „დიდი ყანის“ **ორჩე** ვარიანტი, რომლისგანაც უნდა მიღებულიყო აფხაზური **უარჩა** (ცხადაია, ხორავა, 2016: 91).

ქართულიდან აფხაზურში სესხებასთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით, გამორიცხული არაა, რომ სახელწოდებას საფუძვლად ედოს მეგრ. **ვერჩე** „ველთეთრი“. მაშასადამე, ვერჩე→აფხ. ვარჩა→უარჩა.

ვერჩე ტოპონიმებად დასტურდება სამეგრელო-სამურზაყანოში. კერძოდ, ასე ეწოდება საძოვარს ლარანყარის მარჯვენა შენაკადის – ხურჩის ზემოთში (ლარა, ნაგურუ, წალენჯიხის მუნიციპ.); 2. ტყე-საძოვრებს ფურაშში, დიდსოროს სათავესთან (ხუდონის სატყეო); საძოვარს ლაკადის კალთაზე. პარალელური სახელწოდებაა **ნელამონი** (ცხადაია, I, 2004: 39; მისივე, 2015: 256). პ. ცხადაიას განმარტებით, **ვერჩე** „ველთეთრი“ აღნიშნავს ტყეში მდებარე მცირე მინდორს (პ. ცხადაია, I, 2004: 39). სხვაგან განმარტავს, რომ ლაკადის კალთაზე ნელამი „შალაფა“ ახლაც ამოდის. ერთი ხეც არ დგას არსად და ამიტომ ადგილისთვის **ვერჩეც** უწოდებიათ (მისივე, 2015: 256). მკვლევარი იმონმებს რესპოდენტთა განმარტებას, რომ **ვე** (← ველი) იგივე **ტალარია**, ე. ი. მზიანი მინდორი, სადაც არც ერთი ხე არ დგას (ცხადაია, დასახ. ნაშრომი, 2015: 85). **ვერჩე//დიდი ნაქობალუ** ეწოდება მინდორს კედას ფერდობზე, ჭიჭე ნაქობალის გვერდით, სოფელ ჩქვალერში. რესპოდენტი განმარტავს: „ვერჩე უხონ ადგილი რე, ვაგიტახენ ფერი. გამიგონებუ: ვერჩეს ქიგმორაგუუა ი კოჩქე, მა ჯგვრი ოხონალი რდენ მიჩქედუა (ვერჩე უხნავი ადგილია, არ დაიხვნება (გატყდება) ისეთი. გამიგონია: ვერჩეზე დამაგდოო იმ კაცმა, მე კარგი სახნავი იყო მეგონაო – ი. კ.)“ (ცხადაია, 2015: 85). ტოპონიმ **„ვერჩეს“** აღ. ღლონტი სათიბის სახელწოდებად მიუთითებს გალის რ-ნის სოფ. მუხურში (ღლონტი, I, 1971: 61). ამ სახელწოდებით ცნობილია სახნავი, ნატყევარი ერისწყლის

მარჯვენა ნაპირას, პირველ შეშეღებულში. აქვე, მდ. ერისწყალზე მდებარე ფონს, ვერჩეს მახლობლად, **ვერჩეშფონი** ჰქვია (გალის რ.). ვაკე-სახნავეებს ენგურის მარჯვენა მხარეს, დიხაზურგის თემის სოფ. ზენში ვერჩეს ეძახიან. აქვეა მორევი **ვერჩეშდუღის** სახელწოდებით. ვერჩე ჰქვია მცირე მინდორს ტყეში, ჭიჭე აკიბოსა და დიდ ნუზუნს შუა, სამურზაყანოს მთაში. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა იმონებენ პროფ. იოსებ ყიფშიძის განმარტებას: ვერჩე←ვე რჩე „ველი თეთრი“, და იქვე დასძენენ, რომ ვერჩე ეწოდება გამინდვრებას ტყეში, ტყეშემორტყმულ მცირე ველს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 69-70); **ვერჩესუკი** გორა-საძოვრის, თარზენის განშტოების სახელწოდებაა ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურში. მკვლევარი პ. ცხადაია ობიექტს ამ სახელწოდებით მიუთითებს ჩელაღსა და დიშქამ გიორღვაფუს შუა და იქვე იმონებს რესპოდენტის განმარტებას: „ბაბუაჩემის გადმოცემით, აქ უღრანი ტყე ყოფილა და მხოლოდ ერთგან ჰქონია **ვერჩე** – მცირე ველი ტყეში. ახლა საძოვარია“ (ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV, ჩხორონყუს რაიონი, 2008: 140). ა. ქობალია „მეგრულ ლექსიკონში“ **ვე** სიტყვას განმარტავს როგორც „ველს, ველობს; ჩრდილიან ადგილს“; **ვეე** სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ველი, ველობი; ჩრდილოვანი ადგილი“. **ვერჩე** „თეთრი ველობია, სინათლიანი ადგილია ტყეში“ (ქობალია, 2010: 306).

მაშასადამე, ჩვენი კვლევისთვის საინტერესო ოიკონიმი **ვარჩა** უნდა მომდინარეობდეს მეგრ. **ვერჩე** ფორმიდან და ნიშნავს „ტყეში მდებარე სინათლიან ადგილს“, „დაბურულ ტყეში ჩამონათებული შუქით განათებულ ველობს“. სახელწოდების ერთ-ერთი კომპონენტია მეგრ. **ჩე//რჩე** „თეთრი“ (შდრ. **რჩელა//ჩელა** „თეთრონი, თეთრგვრემანი“; **რჩელაია//ჩელაია** „თეთრონი, თეთრა“).

სახელწოდების მეგრ. „ორჩე“ („5-6 ქცევა ყანა, ხოდაბუნი, დიდი და ნაყოფიერი საყანე ადგილი; ძველად უხუცესის კუთვნილი მიწა“) სიტყვასთან დაკავშირებას ართულებს ოიკონიმ **ვარჩე**-ში **რ** თანხმოვნის არსებობა. ჩვენ მიერ დამონებული მნიშვნელობებით **ორჩეს** პარალელურ ფორმად სამეგრელო-სამურზაყანოს მეგრულში **ორჩე** ვარიანტი არ გვხვდება.

ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციაც ჩანს ტოპონიმებში – **ყუმურხულა** „გამხმარი ტყემალი“, **ლალხუმლა** „მშრალი ღელე“, **ჭყონხუმლა** „გამხმარი მუხა“, **ნეძ(ი)ფარა** „ღრუ კაკალი“, **მამულკვათილი** „გაკაფული ბალ-ვენახი“, **ჭყონკაკირი** „ნაჭდევი მუხა“ და სხვ. ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციურობა ქართველურ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სიძველის ერთ-ერთი უძველესი ნიშანია (იქვე, 109-110).

პ. ცხადაია განიხილავს სამურზაყანოში არსებულ ისეთ ტოპონიმებსაც, რომლებიც იმეორებენ ქართული ენის რომელიმე დასავლური დიალექტის სიტყვას. ასეთი ტოპონიმებია: **ხოლე**, **ტოგონი** და **ურეკი**.

გამოკვლევის VII, VIII და IX თავებში გაანალიზებული საკითხები პ. ცხადაიას ცალკეული სტატიების სახით აქვს გამოყენებული სხვადასხვა დროს, რაც ჩვენ მიერ განხილულია და ამჟამად აქ არ შევხებით.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ სამურზაყანოს ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმიაზე მსჯელობა უტყუარ ისტორიულ და ენათმეცნიერულ ფაქტებზეა დამყარებული. გამოკვლევის დასკვნით დებულებას კი შემდეგი სახით აყალიბებს:

1. სამურზაყანოს ისტორიული გეოგრაფიული სახელწოდებანი მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ძირითადად მეგრული) წარმომავლობისაა. შეუძლებელია აფხაზური ენის მონაცემებით რომელიმე მათგანის დამაჯერებელი ახსნა.

2. სამურზაყანოს თანამედროვე აფხაზურენოვანი ტოპონიმია წარმოქმნილია უკანასკნელი ორი-სამი საუკუნის მანძილზე.

რ ე ც ე ნ ზ ი ა

**პაატა ცხადაიას გამოკვლევაზე „სამურზაყანოს ისტორიული
და თანამედროვე ტოპონიმია“**

ნაშრომი წარმოადგენს პასუხს იმ აფხაზ მეცნიერთა „მტკიცე-ბაზე“, რომლებიც ტოპონიმიკაში მასალის ტენდენციური ინტერ-პრეტაციის გზით ცდილობენ, დაასაბუთონ, რომ სწორედ აფხაზები (და არა ქართველები) წარმოადგენენ სამურზაყანოს აბორიგენებს.

ისტორიული (შუა საუკუნეების ისტორიულ და კარტოგრაფიულ წყაროებში დამონშებული) და თანამედროვე ტოპონიმების ენათ-მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ავტორი აკეთებს მნიშვნელო-ვან და პრინციპულ დასკვნებს: სამურზაყანოს ყველა ისტორიული და გეოგრაფიული სახელწოდება მხოლოდ და მხოლოდ ქართველუ-რი წარმოშობისაა. აფხაზური ენის მონაცემებით ვერცერთი მათ-განი ვერ აიხსნება დამაჯერებლად; სამურზაყანოს აფხაზურენ-ოვანი ტოპონიმია კი წარმოქმნილია უკანასკნელ 2-3 საუკუნეში, წარმოადგენს სუპერსტრატს და, ამდენად, ამ რეგიონში აფხაზთა აბორიგენობის საბუთად ვერც იგი გამოდგება.

პ. ცხადაიას გამოკვლევას „სამურზაყანოს ისტორიული და თა-ნამედროვე ტოპონიმია“ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კოლხეთის ერთი ნაწილის გეოგრაფიულ სახელწოდებათა შესწავლის საქმეში. აქედან გამომდინარე, მისი დროულად გამოქვეყნება აუცილებე-ლია.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ზ. ჭუმბურიძე**
5. 10. 04.

შესავალი სიტყვა (თქმული სადოქტორო დისერტაციის დაცვისას)

ქალბატონებო და ბატონებო!

პატივცემულო სადისერტაციო საბჭოს წევრებო!

1969 წლიდან, როცა პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილმა შემომთავაზა მუშაობა ახალი ქართული ენის კათედრასთან გახსნილ ტოპონიმის ლაბორატორიაში, ონომასტიკა იქცა ჩემი მოღვაწეობის მთავარ სფეროდ. მეოთხედი საუკუნის მანძილზე სამეგრელო-სამურზაყანოში ყოველწლიური საველე მუშაობის პროცესში შევეკრიბე დიდძალი ონიმური მასალა და შევადგინე სათანადო ლექსიკონები, ხოლო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მომეცა საშუალება ამ მასალის ანალიზისა და კვლევა-ძიებისა. სწორედ ამ კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები არის წარმოდგენილი ჩემს საკვალიფიკაციო ნაშრომში.

მეგრულ-ჭანური ფონეტიკის, მორფოლოგია-სინტაქსისა თუ ლექსიკის ცალკეულ საკითხებზე მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვთ დანერგილი ცნობილ მკვლევარებს – ენათმეცნიერებსა თუ ისტორიკოსებს, მაგრამ კოლხური **საკუთარი სახელის სტრუქტურა, სემანტიკა, ლექსიკა და ისტორია დღემდე არ ყოფილა საგულდაგულო მონოგრაფიული შესწავლის საგანი.**

არის მეორე გარემოებაც, რაც აუცილებელს ხდის ონომასტიკური კვლევა-ძიების გააქტიურებას, თითოეული საკუთარი სახელის მეცნიერულ ანალიზს. საქმე ისაა, რომ დღევანდელ საქართველოში ყველაფერი იბეჭდება და მიდის მკითხველამდე, მათ შორის ისეთი მაკულატურული ლიტერატურა, სადაც „განმარტებულია“, რომ გვარ **ბაღდასარაშვილისათვის** ამოსავალია ქართული სიტყვები – **ბალი** და **სარი**, ხოლო **სოხუმი**, რომელიც სვანური „ცხუმის“ თურქული ვარიანტია, თურმე წარმოადგენს მეგრულ კითხვით წინადადებას – **სო ხუმი?** ე. ი. „სად გახმი“.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება მეგრული ტოპონიმის სტრუქტურის, სემანტიკისა და ლექსიკის საკითხებს. ამ შესავალ სიტყვაში ყურადღებას გავამახვილებ ტოპონიმური თუ აპელატი-

ური ლექსიკის ანალიზით მიღებულ ზოგ შედეგზე, რომელიც, ჩემი თვალთახედვით, გარკვეულ სიახლეს შეიცავს:

ა) გამოვლინდა, რომ მეგრულში რედუქცია და ჰაპლოლოგია ბევრად უფრო აქტიურად მოქმედი და მასშტაბური ფონეტიკური პროცესები ყოფილა, ვიდრე დღემდე იყო ცნობილი (კერძოდ: მთავარი მარედუცირებელი ძალაა პრეფიქსები; რედუცირდება ყველა ხმოვანი; ჰაპლოლოგია ხდება, როგორც ძირისეულ მორფემათა, ისე ძირეულ და სადერივაციო მორფემათა საზღვარზე, აგრეთვე ერთი მორფემის ფარგლებში დერივაციის პროცესში).

ბ) შესწავლილია (პირველად) მეგრული ოიკონიმური სისტემა და მისი მიმართება ქართველურ ოიკონიმურ სისტემასთან, დადგენილია თავისებურებანი: სვანურში დასახლებული პუნქტების სახელები ძირითადად წარმოქმნილია კონვერსიითა და მეტონიმით, ქართულში – ოიკონიმური ტერმინებით, ხოლო მეგრულში – სპეციალური ტოპოფორმანტებით -**ლე** და **სა**.

გ) ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ტოპონიმის ანალიზისათვის არ არის საკმარისი, მხოლოდ ამოსავალი ფუძის (თუ ფუძეების) მექანიკური სალექსიკონო დადასტურება, არამედ, ამასთან ერთად, საჭიროა აგრეთვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფის, კულტურულ-რელიგიური წარმოდგენების, სამეურნეო საქმიანობის, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს, კლიმატური თავისებურებების გათვალისწინება (კვარჩხილალი, მიგარია, ოჩხონაფუ, გიშახუნაფუ და სხვ.) ისიც ცხადი გახდა, რომ ქართველურ ენათა ფუძისეული მასალის გამოსავლენად აუცილებელია ტოპონიმური ეკვივალენტების უფრო აქტიურად ჩართვაც (ქართ. **ბზეკ**- : მეგრ. **ზაკ**- ; ქართ. **ბრეგ**- : მეგრ. **რაგ**- (ა); ქართ. **ლაშ**- : მეგრ. **ლოფ**- (ო); ქართ. მერ-ე : მეგრ. მარ-ა და სხვ.).

მეგრული ტოპონიმის აპელატიურ ლექსიკაში გამოიყო ოთხი შრე:

ა) არქაული ფენა, ე. ი. ფუძენიდან მომდინარე ლექსემები, რაც უკვე ცნობილია შესატყვისობების სახით, როგორიცაა: ქართ. **ღრაკ**- // **ღრეკ**- // **ღრიკ**- : მეგრ. **ღირაკ** -, **ღირიკ**-, **ღიროკ**-, აგრეთვე: ქართული **ხურ-ელ** – : მეგრ. **ხურ-ე** (ტოპ.: ხურუ, ხურჩა, თუნთიხურუ, ხურმამუი); ქართ. **მუხლ**- : მეგრ. **მუხურ**- (ტოპ.: მუხური, მუხურჩა,

მუხურია და სხვ.); ქართ. ყულ- : ყალ- (ტოპ. : ცალიში, ოყალეში...) და სხვ.

ბ) ძველი ქართული ლექსიკა: აკვანი / არკვანი „ვინრობი“, აკლ-დამა / აკარდამა „ქვის სამარხი“, კაპარი / კამპარი, კაფარი, კამპური; კბოდე / კოდმე, კოდუმე, კოდე; ველი / ვე, ლია, მაიდანა და სხვ.

გ) დასავლურქართული დიალექტური ლექსიკა. განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი მეგრულ ტოპონიმიში იმერული დიალექტური ლექსიკა, იშვიათად – გურული (ურეკი) და რაჭული (ფარი, ხოლი).

დ) უცხოენოვანი ლექსიკა. მეგრულს აფხაზურიდან შეუთვისებია მესაქონლეობასთან და, საერთოდ, მთასთან დაკავშირებული რამდენიმე ლექსიკური ერთეული, მაგალითად : ა-ძმახ „ჭაობი“, ჭანჭრობი“: აძმახი // აზმახი „მცირე ტბა, გუბე სამთო საძოვარზე, მწყემსის კარვის ახლოს“; ა-ძაგა „მუჯა“: ძაგა // აძაგა „მუჯა“. ახ-კაარა „შემოღობილი ადგილი, რომელიც ეზოს აკრავს“ და სხვ.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმ მრავალრიცხოვან მასალას, რომელიც ადასტურებს ვარაუდს, რომ სვანებს უწინ კოლხეთის ბარში უცხოვრიათ (ლა-ყორია, ლა-ღვაშია, ლა-ჩახვა, ლე-კერე, ლუმურ-იში, კაკეში, კაცხარა...). საქმე ისაა, რომ დღემდე ამ რიგის მხოლოდ რამდენიმე ტოპონიმი იყო ცნობილი (სოხუმი, ლანჩხუთი, მუჟავა...).

ნაშრომის მესამე თავში განხილულია სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. საკითხის ასე დასმას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგანაც აფხაზი მკვლევარები (შალვა ინალიფა, ხუხუტი ზლაჟბა, ირინა არგუნი) სწორედ ტოპონიმების მონაცემების გაყალბებით ამტკიცებენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ აფხაზები არიან სამურზაყანოს აბორიგენი მოსახლენი, ხოლო ქართველები (მეგრელები) შუა საუკუნეებში ბატონყმობას გამოქცეულ და სამხრეთ აფხაზეთს თავშეფარებულთა შთამომავალნი არიან, რომელთაც აქ აფხაზურენოვანი ტოპონიმური ფენა ერთგვარად შეათხეღეს.

სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქითაა.

სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე ვასკენი:

სამურზაყანოს ისტორიული ტოპონიმები, კერძოდ: **ნკელკარი, ერწყარი, ფოქვეში, ღუმურიში, ჩხორთოლი**, გრამატიკულადაც, ლექსიკურადაც და ნომინაციის თავისებურებებითაც ქართველურ ტოპონიმურ სისტემას განეკუთვნება, ხოლო ანკარ, ფაქუაშ, ღუმურიშ, ჩხვართალ მათი ვარიანტებია, აფხაზურ ბგერით სისტემას მორგებული. პირუკუ პროცესის დაშვება შეუძლებელია, გაუმართლებელია, როგორც ამას მრავალ ტოპონიმთან დაკავშირებით აღნიშნავს თ. გვანცელაძე.

საერთოდ, სამურზაყანოს ყველა ისტორიული ტოპონიმი (ოქუმი, შეშელეთი, წარჩე, საჩინო, სათანჯო, რეკა, ნაბაკევი, ფუნყური, ჯობანყარი, კადარი და სხვ.). არის მხოლოდდამხოლოდ ქართველური (ძირითადად მეგრული).

ნაშრომის მეორე თავშივე არის ცდა ზოგი ისტორიული ტოპონიმის წარმომავლობის გარკვევისა, მაგალითად:

ა) ლამბერტის რუკაზე აღნიშნული ტოპონიმები Jirpiji და Sugiona, რომლებსაც კითხულობენ როგორც „ჟირპიჯი“ და „სუგიონა“, სინამდვილეში აღმოჩნდა მეგრული ჟირპიჯი „ორპირი“ „ხერთვისი“ და **სუჯონა** – „ცვარნამიანი ადგილი“;

ბ) სოფ. აჩიგვარის მახლობლად არსებული წყაროს სახელი **აფსჰა იძიხ** -მაფანყუ-ს – თარგმნისა და გადააზრების შემდეგაა წარმოქმნილი.

გ) ლალიძგის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლის სახელწოდება – **ჯგერიანი** ეტიმონი, აღმოჩნდა **ჯგერი მარიაში**, ანუ წმინდა მარიაში. აქვე არის დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ, როგორც ჩანს, მეგრულში შემორჩენილი ზოგი ზანური ქრისტოლოგიური ტერმინი (**მარაშინა, ჯგეგე** და სხვ.) უშუალოდ მეგრულის ზეგავლენითაა შექმნილი და დამკვიდრებული დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიათა გაერთიანებამდე (ე. ი. IX საუკუნემდე).

ლალიძგის მარცხენა ნაპირას, აფხაზთა და მეგრელთა ეთნოგრაფიულ-ტერიტორიულ საზღვარზე, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულამდე იყო შემორჩენილი ფაქტობრივი აფხაზურ-ზანური (მეგრული) შერეული მეტყველება (ბილინგვიზმი, ორენოვნება). ხოლო ორეროვნების შემთხვევაში, როგორც ცნობილია, ყოველთვის იჩენს თავს, თანაც მეტნაკლები ხარისხით, ინტერფერენცია

– ენობრივი ელემენტების თავისუფალი ურთიერთშედნევადობა, რაც არსებობს ადსტრატის სახით (როგორც შედეგი). აღმოჩნდა, რომ მეგრელთა და აფხაზთა ეთნოგრაფიულ-ტერიტორიულ საზღვარზე ტოპონიმური ინტერფერენცია ვლინდება:

- ა) ტოპოლექსემების ორმხრივ სესხებასა და ადაპტირებაში.
- ბ) გეოგრაფიულ ობიექტთა ორსახელიანობაში.
- გ) ჰიბრიდულ სახელწოდებებში.

ამავე თავში არის განხილული ქართველურ- და აფხაზურენოვანი ტოპონიმების ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხი და გაკეთებულია დასკვნა, რომ გალის რაიონის აფხაზურენოვანი ექვსი ოიკონიმი (აჩიგვარა, აგვავერა, აკვარიქვა, ლეკუმხარა, პატრახუნა, შაშიკვარა) აფხაზთა კუნძულებრივი დასახლების ადგილასაა დარჩენილი, და ასობით სხვა მიკროტოპონიმთან ერთად გვიანდელია, წარმოქმნილია ბოლო 2-3 საუკუნის განმავლობაში, ე.ი. წარმოადგენს სუპერსტრატს და, ამდენად, ამ რეგიონში აფხაზთა უძველესი განსახლებულობის საბუთად ვერ გამოდგება.

მეგრული გვარსახელის ჩამოყალიბება-დამკვიდრების ისტორია დღემდე არ გამხდარა მონოგრაფიული კვლევის ობიექტი. ითვლება, რომ გვარსახელი წარმოიქმნა ჩრდ. იტალიაში XI საუკუნეში, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართველური, მათ შორის მეგრული, გვარსახელი ადრეა დოკუმენტირებული, როგორც საისტორიო წყაროებში, ისე ეპიგრაფიკულ ძეგლებში, რაც საამაყოა, კერძოდ :

ა) პირველი კოლხური გვარი ჯერ კიდევ IX საუკუნის საისტორიო წყაროშია დასახელებული: 876 წელს არგვეთის მფლობელი ლიპარიტ ბაღვაში დავით კურაპალატის ვასალი გამხდარა. ბაღვაში (ბაღუაში) ნიშნავს : ბაღუ(ა)სი, ე.ი. ბაღუ(ა)ს შთამომავალი.

X-XI სს. დას. საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი ყოფილა მარუშინთა, ანუ მარუშისძეთა, ფეოდალური საგვარეულო (აფხაზთა მეფის მოხელენი). ეს გვარი წარმოქმნილია ორგვარი სუფიქსაციით: კოლხურ ფორმა **მარუშს** (მარუს შვილი, მარუს შთამომავალი) დართვია **იან** და **ძე** სუფიქსოიდები. მაშასადამე, IX-X საუკუნეებში **-(ი)ში** ბრუნვის ნიშანს უკვე ჰქონდა მოპოვებული სიტყვათწარმოებითი ფუნქცია მემკვიდრეობითი სახელისა ღნიშვნისა.

ბ) ილორის წმინდა გიორგის ტაძარი აგებულია XI საუკუნის პირველ მეოთხედში. მის აღმ. ფასადზე შემორჩენილია ქართულწარწერებიანი ხუთი ქვა, „რომლებიც აგრეთვე მე-11 საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება“ (ქსე, 5, გვ. 108). ნებელდის XIII საუკუნის ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულია ლუკა მარტინავა. მაშასადამე, **ვა** დაბოლოებიანი გვარსახელის მოდელი უკვე XI-XIII სს-ში უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ყოფილა, როგორც ეს ჩემზე უადრეს აღნიშნა თეიმურაზ გვანცელაძემ. აღარაფერს ვამბობთ წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის წარწერაში დოკუმენტირებულ ია დაბოლოებიან **გვარ-ქვაბალია**-ზე (XIV ს. ბოლო ათწლეული).

ქართველი მკვლევრები (ს. ჯანაშია, გ. როგავა, ჯ. ონიანი, მ. ქალდანი, ზ. ჭუმბურიძე), რომელთაც სვანურ-კოლხური გვარსახელები უკვლევიათ, კოლხურ გვარსახელთა **ია, ვა, უა** დაბოლოებებს აცხადებენ სვანური გვარების დაბოლოებათა **ნ** მოკვეცილ ვარიანტებად. ჩვენი დაკვირვებით კი, კოლხურ გვარსახელთა თავდაპირველი მანარმოებელია **ა** სუფიქსი, რომელიც საერთო ქართულ-ზანური წარმომავლობისა ჩანს. მისი ფუნქცია ძალზე ზოგადი უნდა ყოფილიყო: **ნ**. მარის, არ. ჩიქობავას, აკ. შანიძის ვარაუდით, იგი აღნიშნავდა გვარსაზღვრულობას სხვა ენათა ართრონის მსგავსად. დასახელებული **ა** ზანურში საზოგადო სახელებთან აღნიშნავდა მსგავსებას (ხოჯ-ა „ხარის მსგავსი“), ხოლო პირსახელებთან – ჩამომავლობას (ხუბე—ხუბუნა//ხუბულა „ხუბუსი. ხუბუს შთამომავალი“). როგორც ჩანს, შემდგომში სწორედ ეს **ა** იქცა გვართა მანარმოებლად და ამ ფუნქციით დღესაც აქტიურად გამოიყენება **ო ან უ** ხმოვნებზე დაბოლოებულ ტოპონიმებთან (კოლო/კოლო-ა → კოლუ-ა, ქორთუ → ქორთუ-ა).

რაც შეეხება **ია, ვა** რთულ (კომბინირებულ) საგვარსახელო სუფიქსებს, ისინი წარმოქმნილი არიან სხვადასხვა გზით: **ი** სახ. ბრუნვის ნიშანია, **ვ** არის ჰიატუსის ასაცილებლად ჩართული ბგერა.

ამ საკითხებზე მსჯელობის ბოლოს მოცემულია დასკვნა: კოლხურ გვარსახელთა დაბოლოებიანი სვანური სუფიქსების **ნ** მოკვეცილი ვარიანტები კი არ არიან, არამედ თვით ზანურის წიაღში არიან აღმოცენებულნი. ამასთანავე, ძირითადი და თავდაპირველი

მანარმოებელია ა, ხოლო ია, ვა მეორეული რთული საგვარსახელო სუფიქსებია.

ამავე თავში არის განხილული საკითხები:

ა) ნაკლებადპროდუქტიული კოლხური სუფიქსები და სუფიქსოიდები (ში, სქირი // – სკირი, სქუა // სკუა, ბერი);

ბ) სვანური **იან** და ქართული **ძე, შვილი** სამეგრელოს გვარსახელებში.

გ) სადაურობის **არ** გვარსახელთა ფუძეებში (ჩანთარია, ლატარია, ქანთარია, ჭიხვარია, ხვითარია და სხვ).

დ) სასუბიექტო მიმღებები გვარსახელთა ფუძეებში (მ-ჭკადუ/ჭკადუა, მ-ჩიჩუ/ჩიჩუა, მ-ჯგვიშუ / ჯგვიშია, ჯგუშია და სხვ.).

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია ზოონიმთა მოტივირებისა და სტრუქტურის ძირითადი პრინციპები. იგი წარმოადგენს 1987 წელს დაბეჭდილი სტატიის მოკლე ვარიანტს. ეს სტატია საერთოდ პირველია ქართველურ ზოონიმიკაში.

ზოგადი დასკვნები შედგება 21 მუხლისაგან. იგი მთავრდება ასეთი უმთავრესი და უზოგადესი დასკვნით: კოლხური საკუთარი სახელების ფონეტიკური და დერივაციული სისტემები, სტრუქტურა და სემანტიკა, მოტივაციისა და სახელდების პრინციპები ზოგადქართველურია, რაც ამავე დროს გულისხმობს ყველა აღნიშნულ ასპექტში ენობრივ-დიალექტურ (ზოგ შემთხვევაში – ვიწროლოკალურ) თავისებურებებს.

თუ როგორაა დასაბუთებული ეს დებულება, ამის შესახებ პატივცემული ოფიციალური ოპონენტები მოგვახსენებენ.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

2002 წ.

თ. ი. გვანცელაძის საკვალეფიკაციო ნაშრომზე – „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“

ნაშრომი ნარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. გამოხმაურება დაწერილია ავტორეფერატისა და ავტორის ზოგი სამეცნიერო პუბლიკაციის საფუძველზე.

აფხაზეთა პირველსაცხოვრისისა და შავიზღვისპირეთში მათი დამკვიდრების გამორკვევას არა მარტო დიდი სამეცნიერო, არამედ მძაფრი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ამ საკითხის კვლევისას ძირითადად მაინც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს მიმართავდნენ. თეიმურაზ გვანცელაძემ კი ორიგინალური გზა აირჩია – ლინგვისტური მონაცემების კრიტიკული და გამოწვლილვითი ანალიზი, რამაც უმნიშვნელოვანესი დასკვნები გააკეთებინა.

ნაშრომი ფაქტობრივად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს (პირობით). პირველი ნაწილი არკვევს ეთნონიმ **აფხაზისა** და პოლიტონიმ **აფხაზეთის** სემანტიკას და იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ შეიძლება მეცნიერებაში შედეგები წერილობითი წყაროების ჩვენებებისა დიამეტრალურად შეიცვალოს ამავე წყაროების ზემინვენით კრიტიკული ანალიზის გზით. ასეთი მეთოდით ავტორი ადგენს: 1. აფსილთა და აბასგთა მკვიდრობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დოკუმენტურად არაა დადასტურებული; 2. ეთნიკური აფხაზების სამშობლოზე არც ერთი ისტორიული წყარო არ მიუთითებს; 3. „აფხაზეთი“ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულს აღნიშნავდა; 4. ქართველ მეფეთა ტიტულატურაში პირველი ტიტული „მეფე აფხაზეთა“ დამკვიდრდა მეფე ბაგრატ III-ის შემდეგ: იგი მეფედ აკურთხეს 978 წელს, მაგრამ არა ქართლში, არამედ აფხაზეთში. თავდაპირველად ბაგრატ III იყო მხოლოდ მეფე „აფხაზეთა“. შემდგომ, როცა მან ქართლიც მიიერთა, იგი გახდა „მეფე აფხაზეთა და ქართველთა“...

ასევე მნიშვნელოვანია იმის დამაჯერებელი დასაბუთება, როგორც ისტორიოგრაფიული წყაროებით, ისე ლექსიკოგრაფიული მონაცემებით, რომ აფხაზების თავდაპირველი სამკვიდრო XIV საუკუნემდე იყო მდინარე ყუბანის აუზი და ჩრდილოეთ კავკასიის მაღალმთიანეთი.

ჩვენ მიერ პირობით გამოყოფილი მეორე ნაწილი საკვალიფიკაციო ნაშრომისა გამოირჩევა მეთოდოლოგიური სიახლით (ქართულ მეცნიერებაში მაინც). კერძოდ, ორი მეზობელი ენათა ჯგუფის – აფხაზურ-ადიღეურისა და ქართველური ენების – ფონოლოგიურ-ლექსიკოლოგიური შეჯერებით მიღებული შედეგების გამოყენებით, საკუთრივ აფხაზთა მიგრაციის მიმართულებისა და ქრონოლოგიის დასადგენად. როგორც ავტორეფერატიდან ჩანს, ამ პრობლემას ეძღვნება საკვალიფიკაციო ნაშრომის VII-XI თავები. მოგვყავს რამდენიმე, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი, დასკვნა: 1. სვანური ლექსიკა აფხაზურში არ ჩანს, რადგანაც შავიზღვისპირეთში აფხაზთა დამკვიდრების ეპოქაში იქ სვანები უკვე არ იყვნენ: ისინი ან კოლხებს შეერწყნენ, ან ენგურის ზემოთში გადაინაცვლეს; 2. კოლხური ლექსიკა აბაზინურ დიალექტში არ ჩანს. ესეც გასაგებია, აბაზინელები კოლხთა ჩრდილოეთით მკვიდრობნენ. ბზიფურ და აბჟურ დიალექტებში კი უხვადაა წარმოდგენილი კოლხური სუბსტრატული და ნასესხები ლექსიკა. თ. გვანცელაძის მიერ დადგენილი ქრონოლოგია ასეთია: კოლხური ქრისტიანული ლექსიკა აფხაზურში ვრცელდება X-XV საუკუნეებში (მაგალითად, ოხვამე, მიქამგარია, კელაპტარი, ჭყონდიდი, ქირსე, თარანგელოზი...), სოციალური ტერმინები – XV საუკუნის შემდეგ (თავადი, შინაყმა და სხვ).

დისერტანტმა მოხერხებულად მოიმარჯვა ის განსხვავება, რაც არსებობს აფხაზურ და მეგრულ ფონემატურ სტრუქტურებს შორის და მეთოდოლოგიური სახის დასკვნა გააკეთა: ამ ორი ენის ფონოლოგიური სისტემა უტყუარი საბუთია იმის გამოსარკვევად, ესა თუ ის ტოპონიმი აფხაზურიდან არის ნასესხები ქართველურ ენებში თუ – პირიქით. ერთადერთი უძველესი აფხაზური ტოპონიმი, რომელიც დამონმებულია XVI საუკუნის ისტორიულ დოკუმენტში, არის

აითარნე (ბიჭვინთის მახლობლად). ამოსავალია აფხაზთა წარმართული ღვთაება **ანთარის** სახელი

დიდხანს იყო დავის საგანი ტოპონიმ **ბიჭვინთის** წარმომავლობა. დისერტანტმა ჩათვალა, რომ არაა შემთხვევითი ერთ-ერთი ბერძნული ვარიანტი ამ სახელწოდებისა – **პიტეუს**, ანუ ფიჭვი. საქმე ისაა, რომ ქართველურ ტოპონიმიკურ სისტემაში ჩვეულებრივია გეოგრაფიული ობიექტის სახელდება მცენარის სახელით, ტოპონიმიკური აფიქსის გარეშე (აფხაზურ ენას ეს არ ახასიათებს). როგორც ჩანს, ბერძნებმა თარგმნეს ქართული სიტყვა „ფიჭვი“ პიტეუსად და შემდეგ მისგან მიიღეს ფორმა **პიტეუნტი**, რომლის ქართული ვარიანტია **ბიჭვინთა**. თვით სოხუმის თავდაპირველი სვანური ფორმა „ცხუმიც“ ამგვარადაა წარმოქმნილი, ისევე როგორც **გაგარი, ტყვარჩელი, მერკულა, კოპიტი, კამანი, ამტყელი** და მრ. სხვ.

აფხაზური ენის ქართველური ლექსიკის ქართველური ფენა თვალნათლივ მიანიშნებს აფხაზთა მიგრაციის მიმართულებას. აფხაზურში შესულია 262 ქართველური ბოტანიკური ტერმინი. მაგრამ ამ ნასესხობებში ჩანს მხოლოდ ბარის მცენარეულობის სახელები, ხოლო მაღალმთიანეთის, კერძოდ, ალპური და სუბალპური ზონის მცენარეთა სახელები არ ჩანს. და ეს სწორედ იმიტომ, რომ აფხაზები მაღალმთიანეთის მცხოვრებნი იყვნენ და ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ მცენარეებს უკვე მიკუთვნებული ჰქონდათ სახელები...

საერთოდ, დაინტერესებული მკითხველი მრავალ საინტერესო დასკვნას აღმოაჩენს თ. გვანცელაძის საკვალიფიკაციო ნაშრომსა და გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებში.

დასკვნა: თეიმურაზ იონას ძე გვანცელაძის საკვალიფიკაციო ნაშრომი „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“ უმნიშვნელოვანესი ლინგვისტურ-ისტორიოგრაფიული გამოკვლევაა, რომელიც ახლებურად აშუქებს აფხაზებთან და აფხაზების მიგრაციასთან დაკავშირებულ მრავალ საკამათო საკითხს.

თ. ი. გვანცელაძე ამჟღავნებს მაღალ ერუდიციას და ღრმა ცოდნას, ფლობს უხვ მასალას და მოხერხებულად იყენებს მას დასმული პრობლემების გადასაწყვეტად. მიღებული დასკვნები მეტად მნიშ-

ვნელოვანია არა მარტო პრაქტიკულ-სამეცნიერო, არამედ მეთოდ-
ოლოგიური თვალსაზრისითაც. დისერტანტი ყოველგვარი დაეჭვე-
ბის გარეშე იმსახურებს უმაღლეს სამეცნიერო ხარისხს.

პაატა ცხადაია – თსუ სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის
გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
22. XII. 97.

სარჩევი

შესავალი	3
აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები ტოპონიმიკური მასალების შუქზე	4
რეცენზია	50
შესავალი სიტყვა (თქმული სადოქტორო დისერტაციის დაცვისას)	51
გამომხაურება	58

გარეკანის პირველ გვერდზე:

მღვდლის სახლი ილორში.

გრაფიურა კარლა სერენას სტატიიდან - „მოგზაურობა
სამურზაყანოსა და აფხაზეთში“ (Excursion au Samourzakan
et en Abkasia). გამოქვეყნდა ყოველთვიურ ფრანგულ
ჟურნალში: „მსოფლიოს გარშემო“ (Le Tour du Monde).

პარიზი, 1881.